



უკუკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აქაი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუბათი № 8-9 (№182-183) ● ნოემბერი-დეკემბერი 2016 წელი



„ვაფხისტყაოსნის“
ალუზიები თანამედროვე
ქართულ პოეზიაში გვ. 4

„ღმერთო რა ვნახე სასიზმრო... რა
სარაო მხარა, თუ თვით ეღამი არ
არის, ეღამის შესადარია“ გვ. 7

საერთაშორისო კონფერ-
ენცია გერმანიაში გვ. 12

სტუდენტები და
მეცნიერება! გვ. 10

ბაო-ქლარჯათის
ღიალაქობლოგიური
პრაქტიკა-ექსპედიცია.
სტუდენტთა სამეცნიერო
კონფერენცია გვ. 7-8

მასპინძალი კვლავ
ქეთისია გვ. 5

2 ნოემბერს, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, აწსუ საგარეო ურთიერთობებისა და განვითარების სამსახურის ორგანიზებით გაიმართა ტარტუს უნივერსიტეტის პროფესორის მარკ კანშუკოვის საჯარო ლექცია თემაზე: „მოგების გადასახადის განაწილების სისტემის მაკროეკონომიკური და მიკროეკონომიკური შედეგები ესტონეთის მაგალითზე“.


საჯარო ლექციას, აწსუ რექტორატთან ერთად, დაესწრნენ ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები.



3 ნოემბერს აწსუ მწვანე დარბაზში გაიმართა National Geographic-ის ფოტოგრაფის, ვიქტორ ლიბაგუშკინის საჯარო ლექცია „შეიცანა სამყარო National Geographic-თან ერთად“.

ფესორ ირაკლი ჯულაყიძესთან ერთად ახლადამოწიანი მურადის მღვიმის, ასევე ლეხიდანის, აბაშის წყალის, ოკაცეს კანიონის ფოტოები.

აღნიშნულ პროექტს დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის, როგორც ტურისტული ქვეყნის პოპულარიზაციის, მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოების დაინტერესების ზრდის ხელშეწყობის საქმეში.



4 ნოემბერს, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა შსს მომსახურების სააგენტოს მიერ ორგანიზებული, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კამპანიის ფარგლებში გამოფენა და პროექტის პრეზენტაცია. ღონისძიებას აწსუ რექტორი გიორგი ლავთაძე, ქუთაისის მერი შოთა მურულუაია, შსს მომსახურების სააგენტოს დირექტორი დავით ნიკოლეიშვილი, მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლები, აწსუ პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები ესწრებოდნენ.

ჩემპიონი დათა ქაჯაია და სტუდენტებსაც გაეცნობა. უნივერსიტეტის შენობაში გამოიფინა საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული გასული საუკუნის ფოტოები, რომელზეც აღბეჭდილია საქართველოში გაცემული პირველი მართვის მოწმობა, სარეგისტრაციო მოწმობა, ასევე პირველი ავტოსაგზაო შემთხვევა, რომელიც სწორედ ქუთაისშია დაფიქსირებული.

ღონისძიების დასასრულს, შსს მომსახურების სააგენტოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დამსწრე სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს საგზაო მოძრაობის კამპანიაში ჩართულობისათვის.

სტუდენტებს სიტყვით მიმართეს აწსუ რექტორმა გიორგი ლავთაძემ და ქუთაისის მერმა შოთა მურულუაიამ.





8 ნოემბერს, პროფესორ ვახტანგ აბალობელის სახელობის ამერიკის შესწავლის ცენტრმა, ამერიკელ ისტორიკოსსა და სამხედრო მწერალს, იან თოლის უმასპინძლა, რომელიც საქართველოში აშშ საელჩოს მოწვევით იმყოფება. მისი ლექცია, "აშშ დამოუკიდებლობიდან 25 წლის შემდეგ", საქართველოს იმავ პერიოდის რეალობას ეხმიანებოდა. მომხსენებელი შეეცადა წარმოეჩინა ის რთული ეპოქა, რომელიც ამერიკამ, როგორც სრულიად ახალგაზრდა

სახელმწიფომ გააიარა არსებობის პირველი მეოთხედი საუკუნის მანძილზე.

მომხსენებელმა ბევრად მეტი დრო დაუთმო აშშ-ში მიმდინარე 2016 წლის 8 ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნების მიმოხილვას და დაუფარავად ისაუბრა იმ მოულოდნელობების შესახებ, რომლის პირისპირ აღმოჩნდა ამერიკული დემოკრატია ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში, როდესაც ცხადი გახდა, რომ დონალდ ტრამპის საპრეზიდენტო კანდიდატად წამოყენება რესპუბლიკური პარტიის ხუმრობა არ იყო.

სტუდენტებისათვის მეტად საინტერესო იყო სამხედრო ექსპერტის შეფასება, მისეული ხედვა და ახსნა იმისა, თუ რატომ გააკეთა ამერიკის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა არჩევანი რესპუბლიკელი კანდიდატის სასარგებლოდ. იან თოლიმ გულწრფელად გაამჟღავნა საკუთარი არჩევანი პილარი კლინტონის სასარგებლოდ და იმედი გამოთქვა, რომ ამერიკას კვლავ დემოკრატია პრეზიდენტი ეყოლება.

დასასრულს, მოწვეულმა სტუმარმა, ავტოგრაფით საკუთარი წიგნები ამერიკის შესწავლის ცენტრს საჩუქრად გადასცა. იან თოლიმ სტუდენტთა მრავალ შეკითხვას უპასუხა.

იან თოლიმ ბაკალავრის დიპლომი ამერიკის ისტორიაში ჯორჯთაუნის უნივერსიტეტში მიიღო, ხოლო მაგისტრის ხარისხი საჯარო პოლიტიკაში ჰარვარდის უნივერსიტეტის კენედის სახელმწიფო სკოლაში.

9 ნოემბერს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ორგანიზებით გაიმართა ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 155-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია.

კონფერენცია გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა პროფ. გ. ლავთაძემ, დამსწრე საზოგადოებას მიესალმნენ: რექტორის მოადგილე ასოც. პროფ. შ. კირთაძე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი ასოც. პროფ. ლ. დვალისვილი, ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი პროფ. ა. ნიკოლეიშვილი.

პლენარული სხდომის დასრულების შემდეგ მუშაობა ორ სექციად წარიმართა. მოხსენებები წაიკითხეს: მარიამ ხიჯაკაძემ, მოვლულ მეხრბაბოვმა, თამარ ასათიანმა, ცირა ჯოხაძემ, თამარ ხორხომელიძემ, ქეთი გელაშვილმა, სალომე ფოფხაძემ, ნინო რეკვაკამ, თინათინ ნიქაბაძემ, თინათინ ბურჯალაიანმა, ნინო მიდელაშვილმა, მარიამ იამანიძემ, ქეთევან ქათამაძემ, დლო ჩანანძემ, თამარ ჩანჭიანიძე, თამუნა აბულაძემ, მერი ბურჯანაძემ, თონა ფერაძემ, ნანული მეღაიამ, ხატია კვერეხაძემ. სტუდენტთა ნაშრომებში იგრძნობოდა სამეცნიერო კვლევის უნარი და საკითხისადმი პროფესიული მიდგომა.



17 ნოემბერს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანატის ორგანიზებით პირველი კურსის სტუდენტებისათვის მოეწყო შეხვედრითი ექსკურსია ვანში, გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმში. მათ შორის იყვნენ ქართულ ენაში მოსაზრადებელი პროგრამის სამი უცხოელი სტუდენტი, რომლებმაც ქართულ ენაზე წაიკითხეს გალაკტიონ ტაბიძის ლექსები.

სტუდენტებმა ასევე მოინახულეს ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი და ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი.

ტრადიცია გრძელდება!

17 ნოემბერს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მწვენი დარბაზში“ შედგა პროექტ „სტურუას შექსპირის სამყარო“ რევიზიებში მონაწილეობა დაჯილდოვება. პროექტი გასული წლის მარტში განხორციელდა რუსთაველის თეატრის, ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის შექსპირის შემოქმედების კვლევის ცენტრის და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტის თაოსნობით. საგანმანათლებლო-სახელოვნო პროექტების ციკლის „სტურუას შექსპირის სამყარო“ ავტორი და ხელმძღვანელი გახლავთ თსუ-ს ასოცირებული პროფესორი დავით მახიაშვილი. ქუთაისში აწესდებოდა ინგლისური ფილოლოგიის სპეციალობის სტუდენტებთან ერთად ხსენებულ პროექტში მონაწილეობდნენ პირ-

ველი, მეორე, მესამე, მეცხრე, 41-ე საჯარო სკოლების მოსწავლეები. პროექტის მონაწილეებმა „რიჩარდ III“ -ს „მეფე ლირის“, „მეთორმეტე ღამისა“ და „ჰამლეტის“ წარმოდგენათა ფორზე აღბეჭდილი ვერსიები ნახეს, მოეწყო შეხვედრა რუსთაველის თეატრის მსახიობ ლეო ალიბეგაშვილთან. პროექტის დასრულების შემდეგ მონაწილეებმა დაწერეს ესეები სტურუას შექსპირული სამყაროს შესახებ. საუკეთესო ესეები კრებულში გაერთიანდა პროექტში სხვა ქალაქებიდან ჩართულ მონაწილეთა ნაშრომებთან ერთად. კრებულის პრეზენტაცია 2016 წლის დეკემბერში შედგება.

პროექტის მონაწილეთა დაჯილდოვების შემდეგ გაიმართა დავით მახიაშვილის დოკუმენტური ფილმის „რობერტ სტურუას „იულიუს კეისარი“ - ფრაგმენტები სადადგმორეპეტიციებიდან“ ჩვენება.



1 დეკემბერს მედიცინის ფაკულტეტმა, ასოციაცია „ჰერა XXI“-თან ერთად, შიდათანხმობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, აწესდეს „მწვენი დარბაზში“ საგანმანათლებლო შეხვედრა ჩაატარა. აღნიშნული შეხვედრის მიზანი იყო საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება შიდათანხმობის მიმართ და სტუდენტებისათვის პრევენ-

ციული ღონისძიებების გაცნობა. აღნიშნული შეხვედრის ფარგლებში გაიმართა ფილმის ჩვენება; სტუდენტებს დაურიგდათ საინფორმაციო ბუკლეტები. ნებისმიერ მსურველს მიუძღვნა შესაძლებლობა სწრაფი ტესტის საშუალებით ადგილზე ჩატარებინა ლაბორატორიული კვლევა შიდათანხმობის და C ჰეპატიტის შესახებ.

3 დეკემბერი - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დღე, შეეძინა წელიწადი, აღინიშნება აწესდეს მიერ. წელს განხორციელდა ფორმალურად ღონისძიება აწესდეს მარკეტინგის, ღონისძიებებისა და პროექტების მართვის სამსახურის ორგანიზებით. უნივერსიტეტის პროფესორი - შალვა კირთაძე აწესდეს ბიბლიოთეკის დირექტორთან - გიორგი ჭიჭინაძესთან და რამდენიმე სტუდენტთან ერთად სტუმრობდა საქართველოს უსინათლოთა კავშირის ქუთაისის ფილიალს (ხელ-ლი მანონი გოლეტიანი), რომელსაც საჩუქრად გადასცა აუდიო ბიბლი-

ოთეკა. აღნიშნული აუდიო დისკები (200 ლარამდე ღირებულების) შექმნილ იქნა აფხაზეთის უსინათლოთა კავშირ „ჰერასთან“. ამდენად, უნივერსიტეტმა ორივე ორგანიზაციის მიმართ გამოხატა სოლიდარობა. აღსანიშნავია, რომ სპეციალურად ამ დღისთვის CD-სურათი დაჩვენდა *FabLab ATSU*-ში, რომელზედაც ბრაილის შრიფტით გაკეთდა წარწერა "ჩვენ ერთნი ვართ!". მნიშვნელოვანია, რომ 250-მდე ბენეფიციარს ექნება შესაძლებლობა, ისარგებლოს აღნიშნული აუდიო-ბიბლიოთეკით და გაეცნოს მსოფლიო ლიტერატურის შედეგებს.



დაპარტამენტის იუბილე



გასული საუკუნის 90-იან წლებში ქალაქ ქუთაისის ცნობილი სტუმარბა, მოგზაურმა და მეცნიერმა ელვიემ საჯაროდ განაცხადა: „როცა ქუთაისში შევედით, გვეგონა განათლების ცენტრში შევედით“. როგორც ცნობილია, ქუთაისი მოიზარება საუნივერსიტეტო ქალაქად და თამამად შეიძლება ითქვას, რომ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთ-ერთი გამორჩეული უმაღლესი სასწავლებელია საქართველოში, ხოლო რევიზიების კრიტერიუმში თამამად შეიძლება ითქვას, რომ ლიდერი უმაღლესი სასწავლებელია, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის, განსაკუთრებით კი დასავლეთ საქართველოს მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების საქმეში. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წიაღში ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულის სტატუსით ახორციელებს საქმიანობას ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი. უნდა აღინიშნოს, რომ ქუთაისში ეკონომიკური მიმართულების სპეციალისტების გაზრდის პროცესს საუკუნეა ჩაყარა გასული საუკუნის 70-80-იანი წლების მიჯნაზე, კერძოდ 1976-1985 წლებში მაშინდელი აღ. წულუკიძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინსტიტუტში ფუნქციონირებდა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საადრეცხო-ეკონომიკური ფაკულტეტის ქუთაისის ფილიალი, რომელსაც უძღვებოდა დავაშვილის ჰედაგოვი და ახალგაზრდების ამბეგარი, ბატონი გვიანი კიდე. აღნიშნული საგანმანათლებლო სპეციალობის ფუნქციონირებამ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა დასავლეთ საქართველოში ეკონომიკური განვითარების სპეციალისტების მომზადების საქმეში და არაერთი პიროვნება სწორედ, აქედან მოყოლებული, დღემდე წარმატებით აგრძელებს საქმიანობას, მათ შორის ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის სტატუსით. 2006 წლისათვის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირებდა ეკონომიკური პროფილის სამი კათედრის - „ეკონომიკური თეორიის“, „ფინანსებისა და კრედიტის“ და „საბუღალტრო ადრეცხვის, ანალიზისა და კონტროლის“ გაერთიანების ბაზაზე შეიქმნა ეკონომიკის დეპარტამენტი, რომლის ხელმძღვანელადაც დაინიშნა ახალგაზრდა პერსპექტიული სპეციალისტი, ფინანსისტი გიორგი დავთაძე.

2011 წელს ბიზნესის ადმინისტრირების, ეკონომიკისა და ტურიზმის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შექმნამ საუკუნეული დეპარტამენტის ორ სტრუქტურულ ერთეულად გაყოფა-ჩამოყალიბებას, კერძოდ: ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი; ეკონომიკისა და ტურიზმის დეპარტამენტი. 2011 წლის 3 ოქტომბერს, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით ჩამოყალიბდა ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი. ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი წარმოადგენს ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულს. დღემდე დაფუძნებისას მას ხელმძღვანელობს ასოც. პროფ. სერგო სვანიძე. ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი ახორციელებს შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებს: საბაკალავრო პროგრამა - „ბიზნესის ადმინისტრირება“, ხელმძღვანელი პროფესორი ნანა შონია. სამაგისტრო პროგრამები: „ბიზნესის ადმინისტრირება“, ხელმძღვანელი პროფესორი ნანა შონია. ინგლისურენოვანი პროგრამა „უმაღლესი განათლების მენეჯმენტი და ლიდერობა“. ხელმძღვანელები, პროფესორები: დავით გვგუცორი და კახა ადგიმეიძე. სადოქტორო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება“, ხელმძღვანელი ნანა შონია. „აგრობიზნესის მენეჯმენტი“, ხელმძღვანელი ასოც. პროფ. დალი სილაგაძე და ასოც. პროფ. ზინო ახალაძე. ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტში ასევე ხორციელდება პროფესიული პროგრამები. კერძოდ: სამი მოდული პროფესიული პროგრამა: „საბაკალავრო სპეციალისტი“, ხელმძღვანელი ასოც. პროფ. სერგო სვანიძე. „სარეკლამო აგენტი“, ხელმძღვანელი ასოც. პროფ. თენგიზ კუპრაშვილი. „სასტუმრო საქმის სპეციალისტი“, ხელმძღვანელი ასოც. პროფ. ნანა შონია.

საგნობრივი პროფესიული პროგრამა „სოფლის მეურნეობის ბიზნესის მწარმოებელი“ ხელმძღვანელები: ასოც. პროფ. მანანა შალამბერიძე და დალი სილაგაძე. ასევე უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრში, მთელ რიგ ტრენინგ კურსებს (პროგრამებს) წარმართავენ ჩვენი დეპარტამენტის თანამშრომლები. მათ შორის: ნადდ ფულთან მუშაობის სპეციაფიკა, ეფექტური გა-

ვიდებები, ფორექსის ბაზრის ტრეიდინგი, ბუღალტრული აღრიცხვა ორისის ბუღალტრული აღრიცხვა და სხვა.

2016 წლისათვის ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლობს 903 სტუდენტი, აქედან საბაკალავრო პროგრამებზე-675, სამაგისტრო პროგრამებზე-82 სტუდენტი. სადოქტორო პროგრამაზე-11, პროფესიულ პროგრამებზე-63 სტუდენტი. მაინორ პროგრამაზე კი 72 სტუდენტი. 2011 წლიდან დღემდე დეპარტამენტში სადოქტორო ხარისხი დაიცვა ოთხმა დოქტორანტმა: ეკა უკლებამ, თეა უდესიანმა, ზურა მუშკელიანმა და სოფიკო მიქაბაძემ. სამი უნივერსიტეტის ბაზაზე ძლიერი აკადემიური პერსონალი ჩამოყალიბდა ერთიანი მძლავრი სასწავლო კურს ეკონომიკური მიმართულების სპეციალობების მიხედვით, სადაც სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობას ახორციელებდა რამდენიმე ათეული ღირსეული და კვალიფიციური აკადემიური პერსონალი. ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტს ემსახურება 45 თანამშრომელი: 4 პროფესორი, 23 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ პროფესორი, 3 სპეციალისტი და 13 ხელმძღვანელი მონწილეობს თანამშრომელი. ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის შემადგენლობაში ფუნქციონირებს 5 მიმართულება: „ფინანსები, საბანკო და სადაზღვევო საქმე“ - ხელმძღვანელი ასოც. პროფ. თინათინ გუგუცაშვილი. „საბუღალტრო აღრიცხვა, ანალიზი და აუდიტი“ - ხელმძღვანელი ასოც. პროფ. დავით მაღლაკელიძე. „მარკეტინგის“ და „მენეჯმენტის“ მიმართულებები: ხელმძღვანელი ასოც. პროფ. თენგიზ კუპრაშვილი. „აგრობიზნესის მენეჯმენტი“ - ხელმძღვანელი ასოც. პროფ. მანანა შალამბერიძე.

დეპარტამენტი სტუდენტთა მიმართ პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებას უდევს მნიშვნელობას ანიჭებს, მათ ჰყავთ მეგობარი ორგანიზაციები, რომლებიც უზიარებენ სტუდენტებს პრაქტიკულ ცოდნას, გამოცდილებას, აცნობენ და ათავისცნობენ ბიზნესისა და ადმინისტრირების საქმიანობის საკითხებში: საქართველოს პარლამენტი. საგადასახლო ორგანოები - ქუთაისის მომსახურების ცენტრი, საბაკალავრო გამგეობა პუნქტი „მარკეტინგის საერთაშორისო აკადემია“. საქართველოს ეროვნული და კომერციული ბანკები. მიკროსაფინანსო ორგანიზაციები. სს ქართული ლუდის კომპანია ზედაზენი. ლუდსახარში ნატატარა. შპს ბარამბო. სს ვაზბეგი. კომპანია IDS ბორჯომი. ჩაის ფაბრიკა გურიელი. ამ რთულ და კომპლექსურ გარემოში, სადაც არსებობს გვიწვევს, ადვილი არ არის იპოვო შენი ადგილი, გამოავლინო საკუთარი შესაძლებლობები. საბუღალტრო, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის გვერდით არიან დამსაქმებლები, რომელთათვისაც აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის კურსდამთავრებულები სასურველ კადრებს წარმოადგენენ. ესენია: 1. ვი თბი ბანკი 2. თბს ბანკი. 3. ლიბერთი ბანკი. 4. შპს ელიტაჯილი.

ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი ამავდროულად მიხატავს თავისი თანამშრომლებიც წარმატებით მოღვაწეობენ სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებსა თუ ორგანიზაციებში. სასწავლო პროცესის მუდმივად განახლებისა და დახვეწის პროცესში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფა-განვითარება ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი იღვწის ერთ-ერთი ღირსეული ადგილი ეკავო უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებს შორის და წარმატებით გააგრძელოს უფროსი თაობის მიერ დაწვეული საქმე.

ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი

შოთა რუსთაველი – 850



2016 წელი იუნესკომ შოთა რუსთაველის წლად გამოაცხადა. აღნიშნულ იუბილესთან დაკავშირებით 18 და 19 ნოემბერს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში რექტორატის, პუბლიცისტურ და მედიასთან ერთად ფაკულტეტის, ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტისა და საქართველოს შოთა რუსთაველის

საზოგადოების იმერეთის განყოფილების ორგანიზებით გაიმართა შოთა რუსთაველის დაბადებიდან 850-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. კონფერენცია გახსნა და შეკრებილ საზოგადოებას მიესალმა უნივერსიტეტის რექტორი პროფ. გიორგი ლავთაძე. კონფერენციაში მონაწილეობდნენ არა მარ-

ტო ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორები, არამედ თბილისისა და ბათუმის უმაღლესი სასწავლებლებიდან ჩამოსული მეცნიერები. მოხსენებები წაითხეს: პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილმა, დავით შემოქმედელმა (თბილისი), საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი პროფ. ტარიელ ფუტყარაძემ, პროფ. შოთა ზოიძემ (ბათუმი, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი), პროფ. ნესტან კუტივაძემ, ასოც. პროფ. ლუკა დვალაძემ, ასოც. სულხან კუპრაშვილმა, ასოც. პროფ. ნორა ნიკოლაძემ, ასოც. პროფ. ნატო გულუამ, ასოც. პროფ. ვაჟა ხოფერიამ, ფილოლოგიის აკადემიკოსი დოქტორმა მანანა ჭიჭინაძემ, ასოც. პროფ. თამარ ახვლედიანმა, ასისტენტ-პროფესორმა ეკატერინე გოციაშვილმა (თბილისი, ევროპული უნივერსიტეტი), ფილოლოგიის აკადემიური დოქტორმა ონისე ბანძილაძემ, თინათინ კაპანაძემ, ასოც. პროფ. ზენაბ კვიციანი, პროფ. თამარ გვეტაძემ, პროფ. ნაზი ზედაძემ, ასოც. პროფ. ლელა ჩოგვაძემ, პროფ. მარინა ქაცარავამ, ასოც.

პროფ. მანანა ქაჯაიამ (თბილისი), ასოც. პროფ. ნინო ფხაკაძემ, ასოც. პროფ. ეკატერინე გაჩეჩილაძემ, პროფ. ლილა აბიანიძემ, ასოც. პროფ. იზოლდა რუსაძემ, ასოც. პროფ. ნატო წულეისკირმა, ასოც. პროფ. თენგიზ გუმბერიძემ, პროფ. ბიჭიკო დიასამიძემ (ბათუმი, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი), დოქტორანტი ზურაბ ნაგვერაძემ (ბათუმი, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი), პროფ. რამაზ ზალვაშამა (ბათუმი, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი), დოქტორანტი დიანა ზოიძემ (ბათუმი, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი), პროფ. ნომადი ბართაძემ, ექიმმა მერაბ კვიციანიძემ. ქუთაისის II საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ნინო თურქიამ კი წარმოადგინა მის მიერ ასომთავრულით გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი“.

გათავაზობთ პროფ. თამარ გვეტაძის მიერ კონფერენციაზე წაითხულ მოხსენებას.

„ვეფხისტყაოსნის“ ალუზიები თანამედროვე ქართულ ჰოიზიაში

გენიალური „ვეფხისტყაოსანი“ და მისი ავტორი საუკუნეების განმავლობაში არის და იქნება ქართული ცნობიერების, ერის პუბლიცისტური მსოფლმხედველობის განსაზღვრელი, ჩვენი მწერლობის მესვეურთათვის მხატვრული აზროვნების მწვერვალი და ამავ დროს თაობებისათვის იდეურ-ესთეტიკური სულსკვითების გეზისა და ორიენტირების მიმცემი. ამიტომაცაა, რომ რუსთაველის პოეტურ ნაღვასთან შეტოვლება-შედარება იყო ის ათვის წერტილი, რომელიც ამა თუ იმ ეპოქაში წარმოაჩენდა ლექსის მთხვეულთა მნიშვნელობას თუ ადგილს ქართულ ლიტერატურაში. გვიხსენონ, თუნდაც ალექსანდრე პუშკინმა და ამ პერიოდის მწერლებზე რუსთაველის შაირისა და მხატვრული სახეების ყოვლისმომცველად გავგონა. არჩილი ხომ პირდაპირ აცხადებდა: „ვინც ვერ მიჰყვებს რუსთაველს ნათქვამს, გამბობრძანდეს ასე, აქეთ/მოლოწუბა არ შეშენის, დააფრეთ მოსაბაკეთ“.

მნიღ მხატვრულ ნაწარმოებთან შორის უპირველესია. თუ სურს, რომ ჩამოთვალოს პოეტმა კულტურის ის გამოჩენილი ნიმუშები, რომლებიც წარმოაჩენენ ერის სახეს, მათ შორის შოთას უკვდავი პოემა აუცილებლად ღირსეულ ადგილს იჭერს. მოვეუსმინოთ მურმან ლეჟანიძეს: „ბარე ორმოც საუკუნეს/რაც კი ქართველს თავი ახსოვს/მრავალჟამიერს აგუგუნებს/და ჩუქურთმას ხმაში აქსოვს/...სევეტიცხველი და საოკარი/კაცს რომ გელანდება ძილში/ერთი „ვეფხისტყაოსანი“ და ხუთასი ვაზის ჯიშში“.

კიდევ ერთხელა ხაზგასმული, რომ შეუძლებელია დღესაც რუსთაველის ნიჭთან მიანლოებაც კი: „ისიხულება შენს ტვირთს ვინ ასწევს/მზირთ შენ იმაგრებ ამ თაღს/და უერთდება ცისფერ რეზას წელს/უსასრულოდა ჟამით...ბაღალი კეთილი ამავე რუსთაველს/დღემდე მოჰყავზარ ატატებული/მე ვინ ვარ, მაგრამ მინდა იცოდეს/თავი შენთვის მაქვს გადადებული“ (ტ. ჭანტურია).

ენიჭება: „ხმლის ქნევით, შუბის ტყორცნით და ფარის ფარებით/კიდევ ერთხელ დავიღალათ მაჯები/მტერს რისხვა დავატყნოთ იმგვარი/რომ წელში ვეღარ გაიმართოს ვიღოვანი ქაჯების“. ავტორი ფატმანის სახის საინტერესო ინტერპრეტაციას წარმოგვიდგენს. „ფატმანი! გულანშარიელ ჯაბანათავის/უხილავი სხივი და ტრილობა/სათონ და გონიერი და კარგი მოგვარე/საკუთარ ტერქემ ტანჯული უელად/მეუღლე ტანად ნასი, ორიბი და პირფერვაჭრისა/მრავალთა საქილიკოდ ქცეულა/ჩემი სიტყვა იქნება მართალი/სიძვის დიაციო - ჩამხია/საწოლით თუ საწოლის გარეთ/საოცარი ქალი ფატმანი/კარგად, რომ გაეცნობი ისე მიენდობი/ვით მიწას ღალიანს/ფატმანი წუთისოფლისგან გატყუვიანებულ ხელადამი/მოკამკამე სამოთხის წყალი“.

მეოცე საუკუნეში და დღესაც არაერთი ქართველი პოეტი მოხიბლულა და შთაგონებულა რუსთაველის ტალანტით, მისი სიდიდით. როდესაც გალაკტიონი ამბობს, რომ რუსთაველი ახსოვს ბავშვი, ეს, ალბათ ნიშნავს, რომ ქართული პოეზიის ადამაველის დასაწვის დღესაც შოთას უკვდავ პოემაში დევს.

მთავარი მაინც, დღევანდლობის გადასახედობიან, რუსთაველის - როგორც დიდი პოეტის ის ფენომენია, რომელიც ჩვენი ერის ცალკეულ უარყოფით თვისებებს, ძმათა მტრობას, შურს, ცალკეულ ხეობებს, სიმახინჯებს თუ მოძივსად და საქმიანადი დამოკიდებლობის უსულგულობას - მაცხოვარივით გამოისყიდის. მისი გენიის გამონათებასთან ერთად უარყოფითი თვისებების გამოვლინება ფერტილდება და ითრგუნება. რუსთაველია ის შემოქმედი, რომელიც მხატვრულ სახეებში გამოხატული პუბლიცისტური იდეების ქადაგებით ცუდს და დასაგმობს გადასწვის და ქართველ კაცს მაინც საუკეთესო მხრით წარმოაჩენს; ამაზე საუბარი გვიკვირებოდნენ ამ ლექსში: „თუ ერების სამსჯავროზე, ერმა უნდა სიტყვა მისი/თქვას,დაცავს საქართველოს რუსთაველის დაღობას/რადგან ისტორიის გზაზე თუ ქართველმა კაცმა სცოდა/ყველაფერი გამოისყიდის მხოლოდ რუსთაველი შოთა/თუ კაცი ჰკლა, თუ იქურდა, თუ იფლიდა, თუ იმრუშა/და თუ არ გამოიღია ბელჩებელი და იუდა/თუ ქვეყანას გადაუდგა, თუ იმრუშა, თუ ილოთა/ყველაფერი გამოისყიდის მხოლოდ რუსთაველი შოთა/საქართველო მუდამ მისი დაღობისით დაიბარზა/მან პირჯვარი გადაგვასა და გვასხურა აიანმა/ჩვენი გზა და ისტორია არის ჯვარცმა და გოლოგოთა/მაგრამ ჩვენი გარდმოსხნა რუსთაველი არის შოთა/და თუ ერთხელ სიტკობი მისი მოაკლდება ჩვენი თვის კრონოსს/ჩვენი განწირულ სულს უნდა რუსთაველმა უპატრონოს“.

ცალკე თემაა თანამედროვე ქართულ პოეზიაში „ვეფხისტყაოსანის“ პერსონაჟების გაცოცხლება, მათთან გასაუბრება, მათი სათქმელის, დღევანდლობის საჭირობითი საკითხებიდან გამომდინარე, ახალი ემოციებით გაჯერება. აქაც, ერთგვარად, გრძელდება, „ინტერპოლიცოური“ ჩარევა, პოემის ე.წ. „თეთრი ადგილების“ შევსების მცდელობა, პოეტური ფანტაზიის მეშვეობით ცნობილი პერსონაჟის სხვა რაკურსით წარმოდგენა მკითხველისათვის. ამ კუთხით საინტერესოა პერსონაჟთა ახალი ანდერძები, ახალი წერილები, რომლებიც აგებულნი არიან პოემიდან გამომდინარე ალუზიებზე და რემინისცენციებზე. საინტერესოა ვაჟა ხორნაულის ვრცელი ლექსი „ავთანდილის ანდერძი“, რომელიც 2002 წელს გამოქვეყნდა გაზეთში „ჩვენი მწერლობა“. ავთანდილი ბარათს წერს ფრიდონს, უხიარებს მას თავის განცდებს და საფეხბურს, ანდობს თავის გულისხმადებს: „მე ვმაც ტკბილი და ტკბილქართული/მორიდან გეხვევი/შემთხვევით არაფერი ზდება ქვეყანაზე/არც ახლა ამიღია კალამი შემთხვევით“.

როგორც ცნობილია, პოემაში ავთანდილი გონების, რაციონალური მსჯელობის უპირატესობით გამოირჩევა. პირველი, რასაც უცხო მოყმის დასახმარებლად წასურდა, ავთანდილი უფალს შესთხოვს არის „დათობა სურვილითა“; ანდა რად ღირს მისი მჯელობა ლომ-ვეფხითან ნაბძილი ტარიელის გონსოვანის შემდეგ. სწორედ, ამ მხრით არის გააზრებული თანამედროვე პოეზიაში ავთანდილის სახე. ტარიელზე ლიტერატურული საუბრისას პირველ რიგში მისი ძალი და რაინდული საქციელია ხაზგასმული. ასეა ეს ტ. ჭანტურიას ლექსში „ანდერძი ტარიელისა“ (ტკივილი რუსთაველის თემაზე): „მაღალ მათვანის - მკლავის სიმსხოსი/ვიგრძენი, ისე მძაფრად ვიგრძენი/ამეწვა უცებ მთელი სისხლ-ხორცი/წელის ათრევა ძლივს შევიძელი./ანისის მზეზე თება ტანტალი/ჩამქრალ იებთან დვას ავთანდილი/ისმის ჯვგიდან ირმის ბლაგილი/სლოტმა ქუციკთა, დათვის დანდალი...მაღე აქ სისხლის ტბა დაილგრება/ჯერ კვლა ქაჯეთის ღუმან ქაჯები/ჩქარე, კარი უკვე იღება/გიბრძენბ, გირჩე და გეაჯები“.

საინტერესოა რა კონტექსტშია მოხმობილი თანამედროვე ქართულ პოეზიაში რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, რატომ აღიიერებენ პოეტები სათქმელს, ემოციას თუ ლექსის შინაარსის სიდრებს რუსთაველისეული ალუზიებით, რემინისცენციებით, რექციციებით. ასეთი მაგალითები კი არა ერთია თანამედროვე ლირიკაში.

ავთი თემის გამოძახილია მუხრანისეული სტრიქონებიც „შენ სისხლი ჩემო, შენი ღინება „ვეფხისტყაოსნით“ ხშირად მიგრძენია“.

საინტერესოა თანამედროვე ქართულ პოეზიაში „ვეფხისტყაოსანის“ პერსონაჟების გაცოცხლება, მათთან გასაუბრება, მათი სათქმელის, დღევანდლობის საჭირობითი საკითხებიდან გამომდინარე, ახალი ემოციებით გაჯერება. აქაც, ერთგვარად, გრძელდება, „ინტერპოლიცოური“ ჩარევა, პოემის ე.წ. „თეთრი ადგილების“ შევსების მცდელობა, პოეტური ფანტაზიის მეშვეობით ცნობილი პერსონაჟის სხვა რაკურსით წარმოდგენა მკითხველისათვის. ამ კუთხით საინტერესოა პერსონაჟთა ახალი ანდერძები, ახალი წერილები, რომლებიც აგებულნი არიან პოემიდან გამომდინარე ალუზიებზე და რემინისცენციებზე. საინტერესოა ვაჟა ხორნაულის ვრცელი ლექსი „ავთანდილის ანდერძი“, რომელიც 2002 წელს გამოქვეყნდა გაზეთში „ჩვენი მწერლობა“. ავთანდილი ბარათს წერს ფრიდონს, უხიარებს მას თავის განცდებს და საფეხბურს, ანდობს თავის გულისხმადებს: „მე ვმაც ტკბილი და ტკბილქართული/მორიდან გეხვევი/შემთხვევით არაფერი ზდება ქვეყანაზე/არც ახლა ამიღია კალამი შემთხვევით“.

თანამედროვე ქართულ პოეზიაში „ვეფხისტყაოსანის“ პერსონაჟების გაცოცხლება, მათთან გასაუბრება, მათი სათქმელის, დღევანდლობის საჭირობითი საკითხებიდან გამომდინარე, ახალი ემოციებით გაჯერება. აქაც, ერთგვარად, გრძელდება, „ინტერპოლიცოური“ ჩარევა, პოემის ე.წ. „თეთრი ადგილების“ შევსების მცდელობა, პოეტური ფანტაზიის მეშვეობით ცნობილი პერსონაჟის სხვა რაკურსით წარმოდგენა მკითხველისათვის. ამ კუთხით საინტერესოა პერსონაჟთა ახალი ანდერძები, ახალი წერილები, რომლებიც აგებულნი არიან პოემიდან გამომდინარე ალუზიებზე და რემინისცენციებზე. საინტერესოა ვაჟა ხორნაულის ვრცელი ლექსი „ავთანდილის ანდერძი“, რომელიც 2002 წელს გამოქვეყნდა გაზეთში „ჩვენი მწერლობა“.

მუხრან მაჭავარიანის პოეზიაში განუძეოვრებელი პოეტური ფორმითაა გადმოცემული პერსონაჟთა შინაგანი ბუნების რუსთაველური სიღალე და მათი ბუნებასთან თანაზიარება. პოეტი მიჰყვება ავთანდილს გზადგაზა და მასთან ერთად იზიარებს სულიერი გარდასახვის სიღამაზეს და სულიერ და უსულო სამყაროსთან მიახლებილსა და ჰარმონიის შეგრძნებას: „ტყე-ტყე მიდის, ტყე-ტყე მიდის/ინდი მინდი, ფერად მინდი/იმღერს ლექსთა საბრალოთა ... მიდის... მიდის.../თრთის სხუელი, თრთის ბაგენი/რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი/ის-მენდიან, გაპკვირდიან/რა პატარა ქვეყანაა, რა დიდა/მიდის, მიდის, წვევა ბინდი, ვარსკვლავები, კვლავ დილა/ავთანდილი - რუსთაველია, რამ გააავთანდილა“!

რუსთაველიან გატოლებას, თავის შემოქმედებითი შესაძლებლობების რუსთაველთან შედარებას ქართულ პოეზიაში კარგა ხნის ისტორია აქვს. გავისვენოთ, თუნდაც თეიმურაზ პირველია. „ლექსი ჩემი სჯობს გვარად და ამოდ სასმენლად ყურისა, მაშინც რუსთაველსა აქეზენ მე ამან გამაგულია“; ანდა გურამიძე: „მე რუსთაველსა ლექსს არ ვუდრი, ვით მარგალიტს ჩალის ძირსა“. ასეთი პარალელები „ვეფხისტყაოსნის“ ავტორთან გვხვდება თანამედროვე ქართულ პოეზიაშიც, რითაც ლიტერატურული პაექრობის ეს უკვდავი ტრადიცია დღემდე გრძელდება და ახალ შინაარსს იძენს. „ან რით გინდა შენი მოსვლა/ქვეყანაზე გამართლო/ვეფხის წიგნს და იმის მგოსანს/შენ რა გაქვს, რომ დაამატო“ (მ. ლეჟანიძე).

ლექსში ავთანდილი ფრიდონს აცნობებს ტარიელის მღვომარეობას, რომელიც მხეცქნილია და ადამიანებს აღარ ეკარება. „ნესტანი ქაჯების ტყვეობაში, ტარიელი მხეციების სამეფოში/(ცრმობიანი კვალი რომ რჩება ჭალა-ჭალა და მინდორ-მინდორ)/სიკვდილის მოლოდინით ხართენ/ცას ვეღარ ზედავენ მწყალობელს/და სამველი არ ჩანს ფრიდონი“.

თანამედროვე ქართულ პოეზიაში „ვეფხისტყაოსანის“ პერსონაჟების გაცოცხლება, მათთან გასაუბრება, მათი სათქმელის, დღევანდლობის საჭირობითი საკითხებიდან გამომდინარე, ახალი ემოციებით გაჯერება. აქაც, ერთგვარად, გრძელდება, „ინტერპოლიცოური“ ჩარევა, პოემის ე.წ. „თეთრი ადგილების“ შევსების მცდელობა, პოეტური ფანტაზიის მეშვეობით ცნობილი პერსონაჟის სხვა რაკურსით წარმოდგენა მკითხველისათვის. ამ კუთხით საინტერესოა პერსონაჟთა ახალი ანდერძები, ახალი წერილები, რომლებიც აგებულნი არიან პოემიდან გამომდინარე ალუზიებზე და რემინისცენციებზე. საინტერესოა ვაჟა ხორნაულის ვრცელი ლექსი „ავთანდილის ანდერძი“, რომელიც 2002 წელს გამოქვეყნდა გაზეთში „ჩვენი მწერლობა“.

რუსთაველიან გატოლებას, თავის შემოქმედებითი შესაძლებლობების რუსთაველთან შედარებას ქართულ პოეზიაში კარგა ხნის ისტორია აქვს. გავისვენოთ, თუნდაც თეიმურაზ პირველია. „ლექსი ჩემი სჯობს გვარად და ამოდ სასმენლად ყურისა, მაშინც რუსთაველსა აქეზენ მე ამან გამაგულია“; ანდა გურამიძე: „მე რუსთაველსა ლექსს არ ვუდრი, ვით მარგალიტს ჩალის ძირსა“. ასეთი პარალელები „ვეფხისტყაოსნის“ ავტორთან გვხვდება თანამედროვე ქართულ პოეზიაშიც, რითაც ლიტერატურული პაექრობის ეს უკვდავი ტრადიცია დღემდე გრძელდება და ახალ შინაარსს იძენს. „ან რით გინდა შენი მოსვლა/ქვეყანაზე გამართლო/ვეფხის წიგნს და იმის მგოსანს/შენ რა გაქვს, რომ დაამატო“ (მ. ლეჟანიძე).

ნესტანის დაკარგვით გამოწვეული უიმედობა კარგადაა გადმოცემული. აქ პოეტი პოემის შინაარსის მცდრე მკითხველის გულში გამოტარებულ ემოციებს ახალ სიცოცხლეს ანიჭებს, რადგან ვეფხისტყაოსნის პერსონაჟების თავდასახვალი ერთგვარ კლიშედ, ლიტერატურულ შაბლონად არის ქცეული თაობებისათვის. „სიყვარული უფლის მოსაწონი/ღობილ ვეგვილებს, მზის და ვარსკვლავების/ასე უიღბლო და ნაწამები და ასე უნაპირო/სიცოცხლის დღესასწაულს ციხის ვიწრო სარკმელად უყურებს/გადავარჩინოთ, ძმაო სურადინო“. ლექსის თემა ერთგვარი მხატვრული გარდამქაა „ვეფხისტყაოსანის“ შინაარსის ცალკეული ადგილები-სა. რუსთაველს სტრიქონები კიდევ უფრო განიცდობა და თანამედროვე შედარება

ნესტანის დაკარგვით გამოწვეული უიმედობა კარგადაა გადმოცემული. აქ პოეტი პოემის შინაარსის მცდრე მკითხველის გულში გამოტარებულ ემოციებს ახალ სიცოცხლეს ანიჭებს, რადგან ვეფხისტყაოსნის პერსონაჟების თავდასახვალი ერთგვარ კლიშედ, ლიტერატურულ შაბლონად არის ქცეული თაობებისათვის. „სიყვარული უფლის მოსაწონი/ღობილ ვეგვილებს, მზის და ვარსკვლავების/ასე უიღბლო და ნაწამები და ასე უნაპირო/სიცოცხლის დღესასწაულს ციხის ვიწრო სარკმელად უყურებს/გადავარჩინოთ, ძმაო სურადინო“.


„ღმერთო რა ჰნახე სასიზმრო... რა საარაო მხარია, თუ თვით ეღამი არ არის, ეღამის შესაღარია“

„მხოლოდ წარსულის ცოდნით დაუცვეს ყოველ ერს თავისი ერთგულება, თავისი არსებობა, თავისი ენობა...“ (დოლა). აღნიშნულ მიზნის შესახებ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიკოსი, არქეოლოგი და ფილოლოგი სტუდენტთა ეთნოგრაფიული ექსპედიცია „ლექსები 2016“.

ქართველთა ეთნიკური ისტორიის, მატერიალური და სულიერი კულტურის, ტრადიციების, წეს-ჩვეულებების ამსახველი მასალების მოგროვების, მისი მონაწილეთაგან გადამცემი, სტუდენტებში ქართველური მენტალობის, ეთნოფსიქოლოგიის შემნარჩუნებელ-განმავითარებელი, ნოვაციების მიღების მარეგულირებელი, ეროვნულ-კულტურული მემკვიდრეობისადმი ინტერესის გამაღრმავებელი, ექსპედიციების მოწყობა-განხორციელება ტრადიციულ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის. რეკტორატის და პუბლიკის მენეჯერებთან ფაკულტეტის დეკანის თხოვნა, უზრუნველყო ეთნოგრაფიული ექსპედიციის ცხოვრება-ხელშეწყობა ცაგერის რაიონში უპრობლემოდ მიიღო (რაიონის მუნიციპალიტეტმა და განათლების რესურსცენტრმა (გამგებელი რეკავ ბენიძე; განათლებისა და კულტურის სამსახურის ხელმძღვანელი ლეკო ლომთაძე; რესურსცენტრის ხელმძღვანელი ირაკლი სილაგაძე და სოფ. ნაკურალეშის გამგებელი გიორგი ყურაშვილი). მადლობა მათ!



ექსპედიციის მონაწილე თინათინ ჩაკვატაძე: 2016 წლის 20 ივლისი, დღე, რომელსაც მოუთმენლად ელოდა წერეთლის უნივერსიტეტის ისტორიის, ფილოლოგიისა და არქეოლოგიის სპეციალობის სტუდენტები. დღე, როდესაც დაიწყო ჩვენთვის დასამახსოვრებელი 2 კვირა, დღე რომელმაც შეძვეწარა კიდევ უფრო მეტად საქართველო. გზაზე ლექსებისაკენ ჩემი გული სიამაყით იესება, რადგან ჩემი თანატოლები, ჩემი მასწავლებლები (დავით შავიანიძე, ასოც. პროფ., ექსპედიციის ხელ-ლი, რამაზ ხაჭაპურიძე, ასისტ. პროფ., ლუიზა ხაჭაპურიძე, ასისტ. პროფ., რუსუდან კაშია ისტორიის დოქტორი, პროფესორი, ფიქრია ჭაბუკიანი, ლექტორი) ჩემს კუთხეში მოდიან ჩემთან ერთად ეთნოგრაფიული



მასალების ჩასაწერად. დღე პირველი, როდესაც უნდა გავიღეთ სამუშაოდ ხელმძღვანელებთან ერთად. გვარადგებენ, გვასწავლიან ინფორმაციის მოპოვებას, ჩაწერის ტექნიკას... ყველაფერი გონებაში იბეჭდება. ანტონ ბიძია, გოლე თიანმა, ჩვენმა პირველმა რესპოდენტმა, გახარებულმა იმითი, რომ მის სოფელში, მალაღმთიან რაიონში, მოვიდნენ ახალგაზრდები ქართველთა დღემდე მომყვანი და მომავლის შემნარჩუნებელი ტრადიციების გადარჩენად, დიდი მოლოდინი არ გამოცრუა!



ყოველ დილას ჩვენ ფანჯრებში შემოსულ ნისლიან ერთად ვიწევით. ფეხით დავდივართ სოფლებში, ახლოს ვეცნობით ადგილებს. გვეხმარებიან ქვეყნის მომავლის შემნარჩუნებაში, გვმასპინძლობენ... მოხუცი ბებიები-ბაბუები ყველა სიტყვა წამლად ეღებოდა მთელ ჩემ არსებას. ჩვენი ნაკეთები საქმით კმაყოფილები საღამოობით

ეუზიარებთ ერთმანეთს შთაბეჭდილებებს, ვგვგვავთ მეორე დღეს, მომავალს. ხვამლზე ასულბებმა, როცა ცისარტყელა ფერხითით მოგვექცა, მივხვდით რა არის თავისუფლება! შრომაში, სწავლაში და ქვეყნის სამსახურში გავიდა ორი კვირა. ექსპედიციის მიმდინარეობისას დავრწმუნდით, რომ წყაროებში პირველად VI საუკუნეში პროკოპი კესარიელის მიერ სკეიმინას სახელით მოხსენიებულ, ისტორიული თავკერის მხარე, ახლანდელი ცაგერის, ნაწილობრივ წყალტუბოს და ამბროლაურის რაიონის ტერიტორიაზე გავრცობილი საქართველოს ისტორიული ეთნოგრაფიულ ერთეულში ლექსში შეიძლება ჯერ კიდევ ნახო, გადაარჩინო, როგორც ძველი, ისე ახალი ცხოვრების მანუშველები ყოფითი და კულტურული ცხოვრების მანუშველები.

2016 წლის ღვინობის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალების მიხედვით შეიძლება შეისწავლო: თაობებისთვის გადაცემული, სამეურნეო ცოდნა-გამოცდილების, როგორც ეთნიკურ-კულტურული მემკვიდრეობის შენახვის აუცილებლობის და ამ ფონზე ბედის ანაბარად მიტოვებულ თანამედროვე სოფელში ტრადიციული მეურნეობის დარგების და სამეურნეო ცოდნის შემნარჩუნება-განვითარებაში ნებით და უნებლიეთ შექმნილი, შემაფერხებელი სოციალურ-სამართლებრივი პრობლემები, რათა მომავალში, ნაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისას, საქმიანობის კორექტი-



რებისა გათვალისწინებული იქნას ეთნოგრაფიული ცოდნა კვლევით დადასტურებული სინამდვილე; საოჯახო და არაფორმალური აღზრდის, როგორც ეთნიკური თვითშეგნების შემნარჩუნების საფუძველის, ლექსები-თქმულებებში გადმოცემული აღზრდის მსოფლმხედვის საკითხები. კერძოდ: საოჯახო და არაფორმალური აღზრდის საკითხები, ქალის/დედის როლი, როგორც აღზრდილი რეალბა; ქართველთა ეთნიკური თვითშეგნების, ეთნოფსიქოლოგიის, კულტურის, ლოკალურ-კუთხური მახასიათებლები; ლექსური დიალექტი; ქვეყნის ახლო და შუადრებით შორი პოლიტიკური წარსული და ლექსების როლი და-წარჩენი საქართველოს ეთნიკურ-კლტურული-ყოფითი ცხოვრების გამართვის საქმეში; დასახლების ფორმა და საცხოვრისის ტიპი; საერო და სასულიერო დღესასწაულები, რიტუალები, წარმოშობის მიზეზ-მიხენი. ლექსები-თქმულებები სოფელზე, გვარებზე, ავ და ბოროტ სულელებზე. გვართა ისტორიები. ტოპონიმები; ლექსურული ფოლკლორი, მისი შინაარსი. რას ზრდიდა ზღაპარი, ლექსი, თქმულება, ლექსი. ეპიკური; ჩვეულებითი სამართლის საკითხები; ლექსში ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით.

ექსპედიციის მონაწილე თეკლა ჭილაძე: როდესაც დაწვრილებულ სწავლობ შენი ქვეყნის ისტორიას, წეს-ჩვეულებებს, ტრადიციებს, უფრო მეტად გიჩნდება სურვილი ფეხით შემოიარო მისი თითოეული კუთხე, შეეხო ქართულობას. ამიტომ დიდი მოლოდინით დატვირთული ვავედი ექსპედიციაში. ყველაფერი არჩეულბებრივი იყო! ბევრი რამ მასწავლა ამ ექსპედიციაში. პირველ რიგში, სასაქართველო საქმის კეთების აუცილებლობა, მეგობრობისა და თანადგომის აუცილებლობა... გვერდს ვერ აკუვლი მასწავლებლების მზრუნველობას, მათგან ჩვენდამი პატივისცემას. ცნობილია, რომ საიდუმლოს გასაღები ჩვენს აღქმაში და სტერეოტიპულ აზროვნებაშია, რომ „მადლობა“ მხოლოდ ზრდილობის გამოსახატად კი არ არსებობს, არამედ დადებითი მუხტის შემტანია ადამიანის ცხოვრებაში. ჩვენს ასე დაგვაძავერებთ: დიდი მადლობა ყველა იმ ადამიანს, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ამ ექსპედიციის დაგეგმვაში და განხორციელებაში. ლექსებში გატარებული ორი კვირა ჩვენი ცხოვრების გამორჩეულად საინტერესო და მნიშვნელოვან შტრიხად დარჩება.

ექსპედიციის მონაწილე სტუდენტები და ლექტორ-მასწავლებლები

ბაო-ქალაქის დიალექტოლოგიური პრაქტიკა-ექსპედიცია

15 აგვისტოდან 24 აგვისტომდე საქართველოს ისტორიულ კუთხეებში – ტაოსა და იმერხევიში მოეწყო სასწავლო-სამეცნიერო დიალექტოლოგიური პრაქტიკა/ექსპედიცია. მასში მონაწილეობდნენ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პუბლიკის მენეჯერებთან ფაკულტეტის ქართული ენისა და დიალექტოლოგიის სპეციალობის III კურსის სტუდენტები; აგრეთვე საქართველოს საპარტარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სტუდენტები. ექსპედიციას ხელმძღვანელობდნენ პროფ. ტარიელ ფუტყარაძე და ასოც. პროფ. ეკა დადიანი. ჩვენი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით დიალექტოლოგიური პრაქტი-

ას, ზუგდიდის, წყალტუბოს, სამტრედიისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებს სტუდენტებისთვის გაწეული ფინანსური დახმარებისთვის. დიალექტოლოგიური პრაქტიკა-ექსპედიციის გრაფიკი: 15 აგვისტო: ართვინის ციხე, ქალაქი იუსუფელი, კაკაიციძეთა ციხე, ოთხთა, ხევაის სასტუმრო „მასისში“ დაბინავება. 16 აგვისტო: იუსუფელის რაიონის ხევაის თემის სოფლებში (ქონობანი, გოდლეკარი, ბასლეკარი...) დიალექტური მასალის ჩაწერა. 17 აგვისტო: ხევაის დგურის „აილემში“ ტბების დათვალიერება. დიალექტური მასალის ჩაწერა. 18 აგვისტო: ქვაბაის თემის სოფლებში დიალექტური ტექ-



კა-ექსპედიცია ტაო-კლარჯეთში 2006 წლიდან რეგულარულად ტარდება.

ტაო-კლარჯეთის დიალექტოლოგიური პრაქტიკა-ექსპედიციის მიზანი იყო: ისტორიულ ქართულ კუთხეებში დაცული ქართველური დიალექტების მონაცემთა ბაზის შექმნა (როგორც ვიდეომასალის, ასევე, ტექსტების); ჩვენი წინაპრების მიერ შექმნილი მატერიალური კულტურის ძეგლების (ეკლესია-მონასტრების, ციხეების...) მონახულება და ქართული კულტურის მასშტაბის თუ პრობლემური აწმყო გააზრებისება ჩვენი სტუდენტებისათვის. დღეს თურქეთის რესპუბლიკაში არსებული ქართული კულტურის ძეგლებისა და ქართული ენის, როგორც ავტონომიი მონახულების ენის, შესანარჩუნებლად აუცილებელია საქართველოსა და თურქეთის სახელმწიფოებს შორის კოოპერაციის დამყარება ინტენსიური თანამშრომლობა; შესაბამისად, ექსპედიცია ხელს უწყობს საქართველოსა და თურქეთის მოქალაქეებს შორის მეგობრული ურთიერთობების გაფართოება-გაღრმავებას.

სტუდენტების ჩაწერა. 19 აგვისტო: ხევაის თემში (იეთი, დოღენჯიანკარი) მასალის ჩაწერა. 20 აგვისტო: ბალხის სოფლებში (ბალხიბარი, წითლეკარი, ხუცეკარი, საგრიათი...) გასვლა და მასალის ჩაწერა; პარხალის დათვალიერება. 21 აგვისტო: ოშკის, ხახულიისა და იშხანის მონახულება; 22 აგვისტო: შავიწყის/სათლეს ციხის დათვალიერება; არქეოლოგი ოსმან ათიექინთან შეხვედრა, ციხის ისტორიის შესახებ ლექციის მოსმენა; ტბეთის მონახულება. იმერხევის სოფელ მეიდანჯიკში (დიობანში) მემედ (ვალბეგ) ჯაფარიდის სახლში დაბინავება. თამარის ციხეზე ასვლა. 23 აგვისტო: იმერხევის სოფლებში (დიობანი, უსტამისი, წყეთი...) მასალის ჩაწერა; აბდურამან სერქინის ოჯახში სტუმრობა; შერთულში პუსეინ (გიორგი) მაღამაძისთან შეხვედრა; წყეთის ციხეზე ასვლა. 24 აგვისტო: ხანძთის მონახულება; არტანუჯის ციხეზე ასვლა; დოლისყანის ეკლესიის დათვალიერება.

დიალექტოლოგიური პრაქტიკა-ექსპედიციის შედეგებს და იქ ნანახსა თუ განცდილს სტუდენტები საინტერესოდ აღწერენ. დავით შანიძე: ტაო-კლარჯეთში ჩემზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იქაური ქართველების დამოკიდებულება ჩემ მიმართ. ერთობლად გაბრწყინდებოდა მათი სახეები, როცა იგებდნენ, რომ ჩვენც ქართველები ვიყავით, მათ სანახავად ჩასვლიდნენ. „გუჯჯაბი მოსულანო“ – იტყვიდნენ და მზად იყვნენ შეუძლებელიც კი გაგვეთხინათ ჩვენს დასახმარებლად; შეეძლოთ ჩამომხდარიყვნენ და საათობით ელაპარაკათ ჩვენთვის საინტერესო თემებზე. გულს ის მიტეხდა, როცა ნაღვლიანად დასქინდნენ: „თქვენ რუსებისას მიქცეულ-დასასრული მე-8 გვ-ზე“

დიალექტოლოგიური პრაქტიკის მონაწილეები

ბაო-ალარჯეთის დიალექტოლოგიური ზრახიან-ქასკაღიში. სტატიკონ სავარაუდო უნივერსიტეტი

დასაწყისი მე-7 გე-ზე

ხართ, ჩვენ – თურქებისა და ერთმანეთისა ვეღარ ვიგნებთო“. თურქეთში მცხოვრებს ჩვენებურებს მინდა ვუსურვო, არ დაეკარგოთ ძირი, ფესვი, სისხლი და, რაც მთავარია, ენა ქართული.

თინათინ ბურჯალაიანი: ტაო-კლარჯეთში გატარებული დღეები ჩემში მთელი ცხოვრება ლამაზ და დაუვიწყარ მოგონებად დარჩება. ტაო-კლარჯეთში პირველად ვიყავი, მაგრამ მინდა ვთქვა, რომ ერთი წუთიც არ მიგვიტოვებია, რომ სადღაც სხვაგან ვარ. ალბათ, უფრო იმიტომ, რომ იქაურ ქარ-

ფედაფერს სულ სხვა თვალთუყურებ და აღიქვამ, ე.ი. რაღაც ნამდვილად შეიცვალა.

ასევე, დიდი მადლობა ჩემს მეგობრებს: თქვენ საუკეთესონი ხართ! რაც არ უნდა მოხდეს და თითოეული ჩვენგანი რა გზითაც არ უნდა წავიდეს, არასოდეს დავივიწყებთ, რომ ჩვენ ტაო-კლარჯეთი გვატოვებს და გვაერთიანებს. მივემხრობით ძლიერ, ძლიერ!...

თინათინ ნიქაბაძე: ტაო-კლარჯეთში გატარებული ათი დღე - ეს იყო წარსულში დაბრუნება,



ქმა, რაც მე დამეუფლა მაშინ, როცა ჩვენ (დიალექტოლოგიური ექსპედიციის წევრებმა) გადავიწყვიტეთ სარფის საზღვარი და შევადგინეთ ისტორიულ საქართველოში. იმ წამიდან ვიგრძენი, რომ ის ათი დღე, რომელიც ტაო-კლარჯეთში უნდა გაგვეტარებინა, იქნებოდა დაუვიწყარი. არც შემიძლია ვთქვა, რა დღეა ჩემი ნატყვისების ჩამონათვალი და ახლა უფრო შემიძლია, რადგან მოვახერხე და ერთი ნატყვისი ავიხრულე – ვნახე იმერზე და ტაო, გავიცანი ნამდვილი ქართველები – გურჯები. ამისთვის ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო პირველ რიგში დემეტრეს, შემდეგ ამ ექსპედიციის სულისჩამდგმელებს – ხელმძღვანელებს. ეს ადამიანები აკეთებენ საქმეს, რომელიც მეუფასებელია. მადლობა ექსპედიციის ყველა წევრს, მე თქვენ ძალიან მივემხრობო! ბოლოს ძალიან დიდი მადლობა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას და ქუთაისის მერიას ფინანსური მხარდაჭერისთვის და ნატყვისის ასრულებისთვის. მიხარია, რომ ქართველი ვარ!

იქაურ ქართველს ვკითხე: — შენი ყველაზე დიდი სურვილი რა არის? მიპასუხა: — ერთხელ მაინც რომ ვნახო საქართველო... ტაო-კლარჯეთის ქართველების სიყვარულმა საქართველოსა და ქართველებისადმი ჩემზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა. ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ შესაძლებლობა მომეცა წავსულიყავი ტაო-კლარჯეთში. მადლობას ვუხდის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ბოლნისის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას ფინანსური დახმარებისთვის.

მარიამ ტაბატაძე: ტაო-კლარჯეთის ექსპედიციის მიზანი იყო ძირძველი ქართველების გაცნობა და მათი მეტყველების შესწავლა. გულწრფელად ვამბობ, რომ ეს დღეები ჩემს ცხოვრებაში განუყოფელი და დაუვიწყარია. ძნელია სიტყვებით სრულად გადმოსცე ყველაფერი, რაც ამ ექსპედიციის პერიოდში ვიგრძენი. იქ ჩასვლის პირველივე წუთებიდან ისეთი შერბნობა მოხდა, რომ საქართველოში ვიყავი. ისეთი სიყვარულითა და სითბოთი გვიმასპინძლებდნენ, თავი უცხოდა გვერჩია, არამედ სამშობლოს სიყვარული კიდევ უფრო გამიძლიერა. ამ სიხარულითა და საოცარი დღეებისთვის მადლობას ვუხდის ყველას, ვინც ამ ექსპედიციის ორგანიზება-მოწყობაში წვლილი შეიტანა.

დაგივიწყებო!?
არ გამეგონოს, იქ ყოფნა რომ ვინმეს მოსწონდა!
...და როს ყოველდღე, წუხელაც კი მეზმანა, თითქოს, ჩვენს ნატყველებს ტაო როგორ ხარბად ჰკონცინდა...

თველებს ჯერ კიდევ არ დაუკარგავთ იდენტობა და იცინა, თავისი ფესვები სადღაც არის. ჩვენი ექსპედიციის ყოველი დღე საინტერესოდ იყო დაგვიძლი. დავდიოდით სოფლებში და ვიწერდით იქაურ ქართველთა მეტყველებას. ამ ყველაფერს კი, რა თქმა უნდა, ახლდა სახალისო მომენტები და უსაზღვროდ დიდი ემოცია, რაც ჩემთვის დაუვიწყარია. ამდენი საუკუნის შემდეგ იქაურმა ქართველებმა შეინარჩუნეს დღეაინა, თვითმყოფადობა და იდენტობა, რაც უცხოებაში ძალიან რთულად მისაღწევია. ტაო-კლარჯეთში ქვეა კი ისტორიის ნაწილია. ჩემში წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა გუმბათისპირა მხარის ბაზილიკამ. ალბათ, ეს იყო ის, რასაც სევდანარევი სიხარულს ეძახიან. ეს სილამაზე ერთხელ მაინც ყველა ქართველმა უნდა ნახოს. იმდენ ვიტყვებ, რომ ამ დიდებულ ძეგლს ვერაფრად შეიძლება სათანადოდ მიექცევა და აღდგება.

იქაური ქართველების მიერ შემონახული ქართული ენა, ქართული ელემენტები ტრადიციებში... ამ ყოველივეს ხელვა საკუთარი თვალთ, მათთან გასაუბრება, ეს ნამდვილად წარსულში დაბრუნება, აწმყოს გაცნობიერება და მომავლის იმედი იყო, იმედი - ქართულ ფესვებს არასოდეს დაკარგავენ. ჩვენც, რიგითი ქართველებს, თითქოს განსაკუთრებული მისია გვქონდა შესასრულებელი - იქ მცხოვრებთათვის უფრო მეტი თავდაჯერებულობა შეგვემატებინა, რწმენა ნამდვილი ქართველობისა. ეს ექსპედიცია ნამდვილად დიდი დროებითი და მნიშვნელოვანი იყო. გარდა შექმნიებისა, მან ჩვენს სულიერ სამყაროსთან შეხება და დრო კვალის დატოვება შეძლო; შეგვახვედრა ნამდვილ ქართველებს და ჩვენც ნამდვილი ქართველობის გზაზე დაგვყავნა. მადლობა ამ ყველაფრისთვის ექსპედიციის ორგანიზატორებს, უნივერსიტეტის ხელ-

მძღვანელობას.

ელვა ტუზურიძე: ექსპედიციის ათი დღე ეს არის ემოციების ზღვა, რომლის გადმოცემა უბრალო სიტყვებით შეუძლებელია. მივემხრობი და მტკიცად ჩემი წინაპრების ოფლით აგებული ხანძართა, ოთხთა, ტბეთი... რომლებიც დღეს შევლას ითხოვენ. მივემხრობი იქ მცხოვრებლებს ყველა ქართველს. მათ ხომ დიდი სიყვარულით გაგვიღეს საკუთარი სახლის კარი და კეთილი გულით გაგვიყვანეს თითოეული ლუკმა. ეს არის დღეები, რომლებსაც დავიწყება არ უწყობია.

თამარ ვანაძე: სიტყვებსაც არ შეუძლია იმ გრძნობების გამოთ-

ქვაშლი გაეცვალით ორთავემ, ეს მოუბი ჩემი და შენია. ფ. ჭანტუთა: (ტაო-კლარჯეთში) ეხედავ, რაიგად გიფიხნია, ენაჲ ქართული! გესმათ, როგორი განცდებია ალღო სიტყვებში: „ღმერთმა გზა-კვალი გიგორჩიოთ! არ დიგო წყით!“ გურჯებს ტყავილი დაღვქათა სხნო სიმეში... ყველა სიწმინდე-სალოცავი ძლიერ დაჭრილა, შემოძარცვულნი დგანან მედგრად, თუშცა ეულნი. ...ნანძითის მონასტრის გუმბათი კი ცაში აჭრილა. დმერთო, შენ იცი, გამართლენ ტბეთის სხუელი! ჩემო ტაო და იმერზეგო, ვით

2016 წლის 25 ნოემბერს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც 2016 წლის აგვისტოში ტაოსა და იმერზეგში ჩატარებულ დიალექტოლოგიურ პრაქტიკა-ექსპედიციას მიემდგვნა. კონფერენციის მონაწილეებს მიესალმნენ: ქართული ენის მიმართულების პროფ. ტარიელ ფუტყარაძე, უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე პროფ. შალვა კირთაძე, ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი ასოც. პროფ. ლუკა დვალიშვილი, ქართული ენის მიმართულების ხელმძღვანელი პროფ. რუსუდან საღინაძე, ქართული ენის მიმართულების პროფ. მარინა ქაცარავა, ქართული ენის მიმართულების ასოც. პროფ. ეკა დადიანი.

კონფერენციაზე მოხსენებები წარმოადგინეს დიალექტოლოგიურ პრაქტიკა-ექსპედიციაში მონაწილე სტუდენტებმა. კონფერენცია ორ სხდომად ჩატარდა. წაკითხულ იქნა შემდეგი მოხსენებები:

დ. შანიძე – პალატალიზების ხმოვნების საკითხისათვის ქართული ენის ტაოურ დიალექტში; ე. დვინეფაძე – ინტენსიტივიტივის ათვისების შესახებ ტაოსა და იმერზეგში; ფ. ჭანტუთა – მეგრულთან საერთო დიალექტური მოვლენები ტაოურში; მ. მეხრბაძე – ქართული ელემენტები იმერზეგულ და ტაოურ ქართველთა თურქულ მეტყველებაში; თ. ბურჯალაიანი – მსახლგვარ-სახლგვარლის ურთიერთობა ტაოურში; თ. ჩიტორელიძე, ე. ტუზურიძე – თანდებულები იმერზეგულსა და ტაოურში; გ. გამრეკალიშვილი – იმერზეგული და ტაოური პოეტური ტექსტების ლექსიკური ანალიზი; ქ. ქათამაძე – ფონეტიკური პროცესები სახელის პარადიგმაში (იმერზეგული და ტაოური) მეტყველების მიხედვით; ე. წიქარიშვილი - ფონეტიკური პროცესები ზმნის პარადიგმაში (იმერზეგული და ტაოური) მეტყველების მიხედვით; თ. ნიქაბაძე – ზმნური თავისებურებები იმერზეგულსა და ტაოურში; მ. ტაბატაძე – ხედვის აღმნიშვნელი ზმნები ტაოური დიალექტურის მასალის მიხედვით; თ. ქორიძე – სამხარეული ჭურჭელთან დაკავშირებული ლექსიკა იმერზეგულსა და ტაოურში; თ. ვანაძე - მეფუტკრეობის ლექსიკა ტაოურში; ნ. აბულაძე – ქორწილთან დაკავშირებული ლექსიკა ტაოურში.

შესვენებისას ნახვენები იყო ფოტოკოლაჟი, რომელშიც აისახა ტაო-კლარჯეთში გატარებული თითოეული დღის ქორიანი დაუვიწყარი წუთები. კონფერენციის ბოლოს მომხსენებლებს საჩუქრად გადაეცათ სამეცნიერო ჟურნალი „ქართველური მეცნიერება“ და სერტიფიკატები.



მადლობა მინდა გადავუხადო ექსპედიციის ხელმძღვანელებს: ქალბატონ ეკას და ბატონ ტარიელს. ახლა უფრო ვაცნობიერებ, რა დიდი საქმეს აკეთებენ. ეს წამოწყება თავისი მნიშვნელობით ნამდვილად სცილდება სამეცნიერო ფარგლებს. ალბათ არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ ეს საერთო ქართული საქმეა. ერთხელ ბატონმა ტარიელმა გვითხრა: აქედან რომ დაბრუნდებით, შეუძლებელია რიგითები იყოთ და თქვენში რაღაც არ შეიცვალოსო. ახლა ხშირად ვფიქრობ ამ სიტყვებზე და იმავტე, თუ რა შეიცვალა ჩემში. როცა გონებაში ფასეულობათა გადაფასება ხდება და


სიტყვებს ვწერ, გული დარდიმეკვება, დარდიმ მონატრებისა. მე ვიყავი ისტორიულ საქართველოში – იმერზეგსა და ტაოში. იქაურ ტაძრებში სხვა სული და სურნელი ტრიალებს, იქაურ ტაძრებს მხოლოდ დანადგრიანებული, უკუშობაით კედლებიდა შემონუნახავთ, იქაურ ტაძრებს დღესათვის მხოლოდ შერჩენილ სანთელთა ნამტირალევი ამშვენებთ. იქაურმა რეალობამ ჩემი ფიქრები ოცნებები ჩაანაცვლა. ჩემს სიზმრებში სალოცავებს წინააართად დიდების შარავანდედი ამშვენებს, ჩემს სიზმრებში იქაურ ტაძრებში „გურჯულად“ გალობენ, ჩემს სიზმრებში კვლავ ვუბრუნდები იქაურ ყოფას და მომავლის რეალური იმედიმ მე უბრალოდ კბეღნიერდები.

მოვლედ მეხრებოვი: ჩვენი ათლიანი დიალექტოლოგიური ექსპედიცია ტაო-კლარჯეთში დაუვიწყარია ჩემს ცხოვრებაში. იქაურმა ქართველებმა ისეთი სითბოთი და სიყვარულით მიგვიღეს, იქ თავს უცხოდა არ ვგრძნობდი, სტუმრად გვპატივებდნენ სახლებში, ამბობდნენ, იქაური გურჯები მოვიდნენო. ერთ-ერთ

ეკა დადიანი

ასოცირებული პროფესორი

აღალი მოღონიზიზ დო ბოზს ჯლიობის სოფროს ლოზირინთოზი



*Where is the wisdom we have lost in knowledge?
Where is the knowledge we have lost in information?
სოდ არის სიბრძნე, ცოდნა
რომ დავკარგვინა?
სოდ არის ცოდნა
ინფორმაციამ რომ იმსხვერპლა?*

T.S.Eliot „The Rock, 1934

პროფესორ თემურ კობახიძის მონოგრაფიის „კომას ელიოტი და მალალი მოღონიზიზის ლიტერატურული ესთეტიკა“ განხილვა გომართო ამერიკისმცოდნეობის მერვე სურთაშორისო კონფერენციის ფარგლებში აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ეს მეტად მნიშვნელოვანი სამეცნიერო გამოკვლევა აღუძრავს ინტერესს სტუდენტებს, სპეციალისტებს და ანგლო-ამერიკული ლიტერატურით დაინტერესებულ მკითხველებს. საგულისხმოა, რომ აწუს ბიბლიოთეკამ რექტორატის მხარდაჭერით უკვე შეიძინა აღნიშნული სამეცნიერო მონოგრაფიის გვიგულარები, რაც სწავლების მიზინოვეების საშუალებას იძლევა.

პროფესორ თემურ კობახიძის მონოგრაფიის კითხვის დაწყებისთანავე, უდავოდ ჩნდება ახლის, განსხვავებულის, განსაკუთრებულის შეცნობისა და, ამავედროულად, რთულ ინტელექტუალურ ლაბირინთებში მოგზაურობით გამოწვეული ესთეტიკური სიამოვნების განცდა. წიგნის ათასფერ გამომო, რომელიც მრავალი ნიშნით ნამდვილად ასოცირდება მუსიკასთან, ერთმანეთს კადრებზევით ენაცვლებთან ანტიკური პერიოდის პოეტები თუ აღორძინების ეპოქის მხატვრები, ვენის კლასიკოსები თუ ელიოტის თანამედროვე ანტიროპოლოგიური, ფსიქოლოგიური თუ ფილოსოფიური წყაროების ავტორები, საკლესიო მოღონებები ინდუიზმისა და ბუდიზმის ჩათვლით.

არ არის იოლი ისაუბრო ამ მონოგრაფიაზე სოთანადო მომზადების გარეშე. იგი მკითხველისგან აღექვატურ განსწავლოლობას მოითხოვს. ამიტომ, მისი ერთხელ წაკითხვაც არ არის საკმარისი იმ მრავალფეროვანი და ღრმად კრიტიკული ანალიზის აღსაქმელად, რასაც ავტორი გეთავაზობს აღნიშნულ ნაშრომში.

არ არის შემთხვევითი, რომ იმ ძალზედ საინტერესო პერიოდთან, რომელიც ავტორის მიერ უაღრესად ჭრელ ლიტერატურულ ფონად არის სახელდებული, რომელიც მრავალი მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო მინი მიმდინარეობებისგან შედგება და აღეს, „მოღონიზის“ საერთო სახელწოდებითა გაერთიანებული, პროფესორი თემურ კობახიძე სწორედ ტ. ელიოტს ირჩევს, რომელმაც უამრავი თავსატეხი გაუჩინა ლიტერატურათმცოდნეებსა და კრიტიკოსებს. ავტორი ჩვეული განსწავლოლობით, რაც იმთავითვე აოცებს მკითხველს, მულტიმედიაციანარულ ჭრულში თავაზობს, „მალალი მოღონიზის“ ლიტერატურული ესთეტიკის მისეულ ხედვას და მართებულიად ხაზს უსვამს ამ დროის

ლიტერატურის ერთ ყველაზე მეტად მახასიათებელ ნიშანს-„მოთოსურობას“. ამავედროულად მას მხედველობიდან არ რჩება „მალალი მოღონიზის“ სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი მხარეები, რომელთა შორის ავტორი ევროპულ კულტურულ ტრადიციათა გადაფასებისკენ სწრაფვას ასახელებს.

თ. კობახიძე წიგნის შესავალში მართებულად აღნიშნავს, რომ მალალი მოღონიზის ლიტერატურა „გართობის მიხნით კითხვის მოვევარულს სერიოზულ თავსატეხს გაუჩენს“. სწორედ ამ შეხედულებას ავითარებს იგი, როცა ჩამოთვლის მოღონიზის, როგორც რთული ლიტერატურის ისეთ ნაწარმოებებს როგორცაა: პაუნდის „კანტოები“ თუ ჯოისის „ულისე“, კაფკას „პროცესი“ თუ თომას მანის „ჯადოსნური მთა“, რადა თქმა უნდა თავად ელიოტის „ოთხი კვარტეტი“ და ვირჯინია ვულფის „გზა შექურისკენ“, რომელთა შესახებ თ. კობახიძე აღნიშნავს: „რადო თქმა უნდა, ეს ლიტერატურა სხვადასხვა მკითხველისათვის სხვადასხვა დონის სირთულეს წარმოადგენს, მაგრამ ფაქტია, რომ მალალი მოღონიზის მწერლობა თავშესაქცევი საკითხავი, ან დროის მოკვლის საშუალება ნამდვილად არ არის. იგი სერიოზული და განცდის ლიტერატურაა, რომელიც მომზადებულია, ალოიანი მკითხველისათვის ამალღებულის, რთულად ნიუანსირებული ესთეტიკური განცდის ლიტერატურაა“.

ავტორი ფართანათა სფეროს განაკუთვნებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მოღონიზში მხოლოდ „რჩეულთათვის“ შექმნილი „ელიტარული“ ლიტერატურაა, მაგრამ ავტორი გამომყოფს მკითხველის ფენომენს, რომლის გემოვნება, უამრავი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორით არის განსაზღვრული. ამას ისიც ემატება, რომ მოღონიზის მწერლები რთულად წერას აძლევენ უპირატესობას. ელიოტსაც ავტორი იმ მწერალთა რიცხვს განაკუთვნებს, რომლის პოეზია „იდეების მუსიკა“ აღიქმება. მისი ნაწარმოები კი, როგორც ავტორი აღნიშნავს, განსაკუთრებულ განცდასა და ინტელექტუალურ ეფექტს ქმნის.

ავტორი თავიდანვე განმარტავს, რომ იგი მიზნად ისახავს ელიოტის, როგორც მალალი მოღონიზის წამყვანი ფიგურის, იმ კონტექსტში ჩვენებას და იმ კავშირების დადგენას, რაც მის შემოქმედებას ჩვენს დროს დასავლური კულტურის მნიშვნელოვან ნაწილად აქცევს.

განსაკუთრებული ყურადღებას იქცევს თემურ კობახიძის მიერ შეჩენული ნაწარმოებები. იგი განიხილავს არამხოლოდ საყოველთაოდ ცნობილ პოემებს, არამედ გვთავაზობს ელიოტის მცირე ფორმის პოეტური შედევრების მხატვრულ ანალიზს. მკითხველს ეძლევა საშუალება გაეცნოს ლექსებს „ბერბანქი ბედვეკროთ; ბლასტაინი სიგარით“ (1919), სადაც ასოციაციითა იმღენი მაგალითია, რომ მკითხველისათვის საკმარის, დაშინევილია, თუ ის სოთანადოდ არ არის ამისთვის მომზადებული. თუმცა ავტორი მე-2 თავში ელიოტის უკვე საკმარის სხვა ხასიათის ტექსტს „პიპოპოტამი“ განიხილავს, კრებულიდან „ლექსები 1920“, რომელიც ნაკლებადაა გადატვირთული ასოციაციებით და რომლის მმართო იცონია უშუალოდ კათოლიკურ ეკლესიას ეხება. ყველაზე მეტად საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ავტორი კატეგორიულად წინააღმდეგია და

შეცდომად მიიჩნევს ნაწარმოების მხატვრული ანალიზისას კრიტიკისს გამოთქმას „ამით მწერალს სურდა ეთქვა...“.

პროფესორი თემურ კობახიძე გასული საუკუნის დამდგეს და ოციანი წლებს კაცობრიობის ისტორიის ერთ-ერთი უდიდესი პერიოდის ეპილოგს უწოდებს: „სრულდება რენესანსული პუმაზიზმისა და მისი შემკვიდრე განმანათლებლობის, შედგე რომანტიზმის ოდესღაც ამალღებული იდეალის დამლისა და დანინების ხანგრძლივი პროცესი. საუკუნის დამდგისთვის წარსულს ნაბარდა ვიქტორიანული ეპოქაც - კლასიკური ბრიტანული ლიბერალიზმის მქადაგებლობისა და მოწვევებით საზოგადოებრივი პარძონიის ხანა. მხატვრულ ლიტერატურაში კარს იყო მომდგარი „უნაყოფო მიწის“, „კაცის ფიტულების“, ჯოისის „ულისეს“ და კაფკას „პროცესის ეპოქა“-აღნიშნავს ავტორი. მომდევნო თავში ავტორი განიხილავს ლექსებს: „სუინი და ბულბულები“, „სუინი ერექტუსი“, რომლებშიც ასევე უხვად არის მოცემული სხვადასხვა ასოციაციები. მათი მიგნება და სწორად აღქმა, ავტორის მართებული რეპლიკით, მკითხველისთვის საგანგებო მომზადების გარეშე შეუძლებელია. მით უფრო კი ერთმანეთში გადახლართული ასოციაციათა თამაშის „ერთდროული“ აღქმა. ამისათვის არამხოლოდ ანტიკური პერიოდის ავტორების ნაწარმოებების, არამედ პუმაზიზარული (ფოდნის მრავალი სხვა სფეროს ფლობაცაა საჭირო. წიგნის ავტორი მიუთითებს, რომ ამის გამო მკითხველთა უმრავლესობაში პროტესტის გრძობა ჩნდება, რადგან ძირითადად წიგნის კითხვა მხოლოდ ესთეტიკური სიამოვნების მიღებასთან ასოცირდება და სწრაფვა თავშესაქცევი ლიტერატურისკენ უფრო დიდია, რასაც ბატონი თემური ჩვეული თავმდაბლობით ჭარბი ინფორმაციის მოხლეკებას, დროის ქრონიკულ დეფიციტს, ცხოვრების თანამედროვე ტემპებს მიანწერს.

ავტორი ელიოტის შემოქმედების სირთულის აღქმასთან დაკავშირებით მეტად საინტერესო მოსაზრებას გთავაზობს: „საბოლოოდ თუ გვსურს განვსაზღვროთ ელიოტის პოეზიისა და მისი აუდიტორიის ურთიერთდამოკიდებულება, ალბათ მართებული იქნება, თუ ვიტყვით, რომ ნებისმიერი კეთილგანწყობილ მკითხველს ელიოტის ლექსი თავად შესთავაზებს აღქმის იმ დონეს, რა დონეზე აღქმაც ამ მკითხველს ძალეუს“.

ალბათ, არ შეეცდები, თუ ვიტყვი, რომ იგივე მოსაზრება შეიძლება თემურ კობახიძის წიგნიც გაავარცხლოთ. წიგნის შემდგომ თავში განხილული ელიოტის ლექსები „ბ-ნ ელიოტის დილის საკვირაო წიგნი“, სადაც ავტორი ხაზს უსვამს ელიოტისათვის დამახასიათებელი გადმოცემის გრატესკული ირონიულ, თამაშებისგან ფორმის „ჰიტ ანდ ჰიპოტეზის“ სახით. მუსიკასთან ერთად, რაც ძირითადად გვხვდება „ოთხ კვარტეტში“ ავტორი მკითხველის ყურადღებას მიაპყრობს ცალკეულ მხატვრებს ან ტილოებს, რომელთა პოეტური კომენტარი ელიოტის მნიშვნელოვან თავისებურებას შეადგენს. ავტორი ჩვეული სერუპულიზმით სთავაზობს მკითხველს ელიოტის მიერ ფერწერული ანალიზის მიერ ფერწერული ანალიზის მიერ გამოყენების მიზეზებს. ელიოტის, ამ განსწავლოლი ესთეტიკის, ფერწერული ასოციაციების (მიქელანჯელო, უმბრიული

ფერწერა კუატროჩენტოს ეპოქაში - მაგ. პიერო დელა ფრანჩესკა - „ნათლისღება“, პიერო პერუჯინო) საფუძვლად ავტორის მის განათლებას ასახელებს. საგულისხმოა, რომ ბ-ნ თემურ კობახიძის მოსაზრებას, რომ ლექსში პერუჯინოს ფრესკა იგულისხმება და არა ფერწერული ტილო, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი კარლ შმიდტიც ეთანხმება და თავის მეტად საყურადღებო წერილში მათ შორის პირად საუბარს იმოწმებს.

VI თავი ლექსს „ჯერონტიონი“ - ეძღვნება, რომლის შესახებ ავტორი შესაძლებლად თვლის თქვას, რომ „უნაყოფო მიწის“ გამოკლებით ინგლისურ ენაზე არც მას მერე შექმნილა მსგავსი პოეტური ნაწარმოები. მეტად მნიშვნელოვანად მესახება და იმ მრავალ ასოციაციათაგან, რომლებიც მრავლადაა ამ ლექსში გამოყოფილ შედგევს: „გვიინდა ნიშანი ვიხილოთ შენგან“- ანუ ლეთაყვანობის ნიშანი მოგვივლინი - ამ კითხვით მწიგნობარნი და ფარისეველნი მიმართავენ მაცხოვარს, მაგრამ როგორც კი მათ სწავლელი ნიშანი მიეციოდით საკუთარ განსწავლოლობაზე დამარბებული უწმუნობის გამო, ისინი ამ ნიშანს ვერ აღიარებდნენ. „სეფსისი, ფარისეველობა და უწმუნობა ფუჭ განსწავლოლობაში („მწიგნობრობაში“) იღებს დასაბამს, რომელსაც ჭემმარტ ცოდნასთან არაფერი აქვს საერთო“- აღნიშნავს თ. კობახიძე.

Where is the wisdom we have lost in knowledge?

Where is the knowledge we have lost in information?

ზნობრივი კომპრომისსა და ამპარტავნობას ჩვეული კაცობრიობა ასცდა ღმერთთან აღმაკვალ გზას, „ცოდნა“ „ინფორმაციაზე“ გაცვლა და ამიტომ ხსნა მისთვის მიუღწევადია. ავტორი ამ თავშიც შეუმზადებელ მკითხველზე აკეთებს აქცენტს და აღნიშნავს: „შეუმზადებელმა მკითხველმა შეიძლება ისე ჩაიკითხოს „მეფე ლირი“, „ანტონიოსის და კლეოპატრას“, „ვენეციელი ვაჭრის“ ელიზაბეთის ხანის დრამატურების: ჩემპენის, მიდლტონის, ბენ ჯონსონის და ისევე ჩემპენის ალუზიები, რომ ვერ გააცნობიეროს, რომ მას საქმე აქვს ინგლისურ რენესანსულ დრამატურეკის პაროდირებასთან. თუმცა ავტორისაკე აზრით, „უშუალო, შეუმზადებელი აღქმისას მკითხველისათვის მულაც არ არის აუცილებელი მიუღი ასოციაციური ქვეტექსტის გაცნობიერება“.

VII თავი მილიანად ეძღვნება „უნაყოფო მიწის“, სადაც ავტორი სურუპულიზმურად განმარტავს მითოსს და მითოლოგიის ცნებებს. მათ შორის განსხვავებებს. ამ თავშიც, რომელიც ათასგვარი ასოციაციებით არის მდიდარი, ავტორი საბოლოოდ აკეთებს დასკვნას: „ყოველი ლიტერატურულ-კრიტიკული მსჯელობა, რომელიც იწყება ფრანით: პოეტს იმის თქმა სურდა, რომ... იმთავითვე მცდარია, რადგან მას მოაწყება მშრალი, არაპოეტური აზრის კონსტატაცია, რაც პოეტურად განცდილი აზრის დამახინჯებაა. ზოგიერთი აზრი შეიძლება ღრმა ფილოსოფიურ დებულებასაც შეიცავდეს, მაგრამ მას საკუთრივ პოეზიასთან აღარაფერი ექნება საერთო.“ უფრო მეტიც: „ჭემმარტივი პოეტის მსოფლმხედველობრივი მწწამსი აბსურდული „რისი თქმა სურდა“-ს დონეზე კი არ არის საძიებელი, არამედ იქ, სადაც ის მართლაც ელინდება - მის მხატვრულ მეთოდში იმაში თუ როგორ, რა საშუალებებით

გარდასახავს ის გარესამყაროს თავისი ნაწარმოების მხატვრული რეალობად“. „უნაყოფო მიწაში“ კიდევ უფრო რთულდება უხვად გამოყენებული რემინისციენტების აღქმა, ყველა ასოციაციური დეტალი ერთდროულად რამდენიმე სიუჟეტურ მოტივზე მიანიშნებს მკითხველს.

VIII თავი „კაცის ფიტულებს“ ეძღვნება, სადაც არ არსებობს არც ერთი პროტაგონისტი თუ ანტიგონი და „ჯოჯოხეთის შემზარავი ტანჯვის ნაცვლად ელიოტი წარმოსახავს სრული ზნობრივი და ფიზიკური პარალიზების შემზარავ სურათს. ავტორი აღნიშნავს, რომ ელიოტამდე ალბათ არავის არ გამოუხატავს ფასეულობათა დეგრადაციის შედეგად შექმნილი ჩინის ესოდენ შემადრწუნებელი განცდა, რაც უსუსურ სლუკუნში გამოიხატება. ზნობრივად ნეიტრალურ აზრლითა ბრბო, რომელთაც ცხოვრებაში არც სიკეთე, არც ბოროტება არ უქმნიათ, არის ელიოტის პოემის ცოცხალ-მკვდარ პერსონაჟთა ერთობლიობა, მისი პოემის „კაცის ფიტულები“. სამყარო „დამთავრებადა“, იმითომ, რომ ის ზნობრივად ნეიტრალურია, ნელ-თბილია. თუმცა ის არასოდეს მთავრდება - იგი „დაუსრულებლის განმეორება და სასაზრულობა“ („ოთხი კვარტეტი“).

ეს პრობლემა 20-იანი წლების ზნობრივი პრობლემა არ არის. ბიბლიის, დანტეს, შექსპირის, კონრადის და სხვათა დამოწმებაც იმაზე მიუთითებს, რომ ისინი ყოველთვის იყვნენ, არამდ და იქმნებიან- აღნიშნავს ბ-ნი თ. კობახიძე.

საგულისხმოა, რომ მე-9 თავი ეძღვნება ელიოტის დრამატურეკას- „სუინი აგონისტი, ანუ არისტოფანული მელოდრამის ფრაგმენტები“. იგი ვოდევილის სტილში დაწერულ კომიკურ-ირონიული ელემენტების შემცველია და ამავე დროს, პირქვეში სიმბოლიკით დატვირთულ, დაუმთავრებელ „მელოდრამას“ წარმოადგენს. საგულისხმოა, რომ თ. კობახიძე მკითხველის ყურადღებას მიაქცევს ნაწარმოების განმეორებად რიტმს, რომელიც პიესის მთელ მხატვრულ ქსოვილს გასდევს, რიტმული დიალოგიით დაწვეებული და სპეციფიკური მიუხედავად ირონიის თუ „მინისტრულ შოუსაგვის“ დამახასიათებელი ცვაკითი მოძრაობებით დამთავრებული. წიგნის ავტორი მკითხველს ბევრ საინტერესო მოსაზრებას სთავაზობს. დაალოგი პიესაში ინტონაციურად ისეა აგებული, რომ ის აღვილად იწყებს მკითხველის მარტივი ჯაზური მელოდიის სინკოპირებულ რიტმის ასოციაციას. აქც ავტორი ჯაზის და ზოგადად მუსიკის მცოდნედ გვევლინება, რაც ყველაზე კარგად ალბათ „ოთხ კვარტეტში“ ვლინდება.

X თავი „მოგვთა მგზავრობას“ ეძღვნება. ავტორი კვლავ მუსიკალური ტერმინებს იყენებს და აღნიშნავს, რომ იგი „ყურადღებას იმეორებს, როგორც „უნაყოფო მიწის“ და 20-იანი წლების ასოციაციური პოლიფონიადან ემოციურად დამუხტულ ერთმონიზანზე გადასვლა. წიგნის XI თავი „ნაცრისფერი ოთხნაბათია“, რომლის მთავარი თემაა ცოცხათა მონანიების გზით სულის განწმენდა და ამალღება. თ. კობახიძე კვლავ მიანიშნებს ნაწარმოების ფინალის სპეციფიკაზე და აღნიშნავს: „პოემის უკანასკნელ ნაწილში თავს იყ-

დასასრული მე-10 გვზე

მაღალი მოღონიბისა და ბოგას ულიობის საგაროს ლაბირითეობი

დასაწყისი მე-9 გვ-ზე

რის ყველა ძირითადი მოტივი და სიმბოლური სახე - ელიოტი აქაც არ ღალატობს „უნაყოფო მიწის“ და „ოთხი კვარტეტის“ კომპოზიციურ პრინციპს, რომლის თანახმადაც ფინალში, მუსიკალური ნაწარმოების დასასრულის მსგავსად, ყველა უმთავრესი თემა არის წარმოდგენილი.

ბევრ სხვა საკითხთან ერთად განსაკუთრებით საინტერესო გახლდათ მუსიკალური სტრუქტურის ლიტერატურული ადაპტაციის საკითხი, რასაც ავტორის მართებული შენიშვნით, არაფერი აქვს საერთო ლექსის ან მხატვრული პროზის ტრადიციულ „კეთილშობიანებასთან“.

სწორედ ეს მოვლენა 20-იანი წლების მოდერნიზმის ერთერთ ძირეულ პოეტურ თვისებას წარმოადგენდა რაც არაერთი ავტორის შემთხვევაში გვხვდება. მრავალ ავტორთაგან, რომელთათვის უცხო არ იყო მუსიკალური ფორმების ექსპერიმენტირება, მონობრაფის ავტორი ასახელებს ეზრა პაუნდის მიერ პოეზიას, რომელიც თავად განხლებდა მუსიკის კრიტიკოსი და კომპოზიტორიც, უილიამ ჰაქსლის რომანს „კონტრასტები“, ჯოისს, რომელიც პოლიფონიური მუსიკალური ფორმის საშუალებებით გამოსახავს პერსონაჟთა ოქმედების ერთდროულობას. საგულისხმოა, რომ ავტორი სწორედ ჯოისს მიიჩნევს პირველ ავტორად, რომლის შემდეგაც ბევრმა ინგლისურენოვანმა ავტორმა მიმართა პროზის „მუსიკალიზაციას“.

მინდა აღვნიშნო, რომ ჯაზის ეპოქა ჩემთვისაც მიწხიდველი პერიოდი კვლევის თვალსაზრისით და არამხოლოდ. შემოადინებული საკითხიც ძალზე მნიშვნელოვან ადგილს იჭერს სკოტ ფიცჯერალდთან. როგორც ავტორი აღნიშნავს: „თვით დოქტორთაგან რომელიც სტილიზებული-მუსიკალური „რეგტიმის“ (1975) წაკითხვა სინკოპირებული რიტმის აღქმის გარეშე აზრს კარგავს. წიგნის ბოლო თავი ელიოტის „ოთხ კვარტეტს“ ეძღვნება, როგორც სამყაროს მითოპოეტური მოდელს. ავტორს ეპიგრაფად სერვანტესის „დონ კახოტიდან“ მოჰყავს ციტირება: „სწორად გამიგე საწინა... ვე მხოლოდ დემონტაჟი აცის, რადგან მისთვის არც წარსული არსებობს, არც მომავალი და ყველაფერი აწმყოა“. „ოთხ კვარტეტს“ ავტორი აღიქვამს როგორც კომპოზიციურ მთლიანობად - დაახლოებით ისეთად, რაპარდ ვაგნერი რომ განსაზღვრავს, როგორც მუსიკალური ნაწარმოების პოეტური წყობის ნიმუშს. ავტორი ხშირად მიმართავს პერსონაჟებს, თომას მანს, ბეთოვენს, მუსიკისა და მითოსის კავშირს, თუმცა ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესო გახლდათ ავტორის მოსაზრება, რომ ამ შემთხვევაში ეს კავშირები მხოლოდ ხელოვნებათა შორის არსებული ზოგად, სტრუქტურულ ანალოგიებს შეიძლება შეეხებოდეს. „ოთხი კვარტეტის“ მუსიკალიზაცია იმამი გამოიხატება, რომ დროის სივრცედ ქცევის საშუალებად მასში მუსიკალური ხერხთა პოეტური ანალოგიები მოხმობილი იმ ძირეული თვისებით, რომლებიც მათ მითოსთან აკავშირებს. არ შეიძლება ყურადღების გარეშე დაველოვოთ კვარტეტების „ოთხების“ ცნება, რაც ოდითგანვე ცხოვრებისეული ორმობიის, სამყაროს წრებრუნვის რიცხვია და დროსა და სივრცეში განფენილ რეა-



ლობას გამოხატავს. იგი სულის აღმნიშვნელ „სამს“ უპირისპირდება. ოთხთან დაკავშირებული „მუსიკა“ კი კონსიუმი წესრიგის აღმნიშვნელი ხატად აღიქმება. ამ თავშიც ავტორი უხვად გვთავაზობს რ. ვარალაშვილისა და ბევრი სხვა მკვლევრის მეტად საინტერესო მოსაზრებებს შემოღნიშნულთან დაკავშირებით. მითოსი და მუსიკა ლიტერატურული ფორმების სტრუქტურული და მორგანიზებელ პრინციპად გვევლინება. აქვე ავტორი ყურადღებას ამახვილებს მბრუნავი წრისა და მისი უძრავი ცენტრის მოდელზე, რასაც დასასრული-დასაწყისის დიალექტიკამდე მივყავართ, რომელსაც ასოციაციების მართლაც უსასრულო რიგი მოსდევს, რაც მხოლოდ დასავლური კულტურულ ცნობიერებას არ გამოხატავს. ავტორი ამ მეტად საინტერესო წიგნის დასასრულს კვლავ უბრუნდება სიმბოლურ სქემებსა და რიცხვთა სიმბოლიკას, რომლებსაც ხშირად იყენებდნენ პოეზიაში, მუსიკაში თუ ხელოვნების ნებისმიერ დარგში სხვადასხვა მიზნით: კომპოზიციურ პრინციპად თუ ხატად, ან თუნდაც დეკორატიულ ელემენტად. კვლავ ავტორის მიერ უხვად მოტანილი მაგალითი- დანტეს, ბახის, თომას მანის, დოსტოევსკის, ჯოისის და ა.შ შემოქმედებებიდან. მეცნიერის აზრით, „განურჩევლად იმისა, იქნება ეს ინტერკულტურული ხატი, სახვითი ხელოვნების თუ პოეტური მეტყველების ნიმუში, „უხმო მუსიკის“ ეს აბსტრაქტული პირველსქემები ყველაზე სამყაროს სიმბოლურ ხატს, მის მითოპოეტურ მოდელს გამოხატავენ“.

სტუდენტები გაეცნენ არაორგანულ ქიმიას, პოლიმერული მასალების ქიმიას და ანალიზურ ქიმიას არსებულ თეორიებს და თანამედროვე მიმართულებებს, აითვისეს დარგში გამოყენებული კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიები, შესაბამისი აპარატურისა და დანადგარების გამოყენების ხერხები. შეითვისეს ქიმიური ლიტერატურით დამოუკიდებლად სარგებლობის, შესაბამისი ინფორმაციის მოსაძიებლად ახალი ტექნოლოგიების გამოყენების უნარი. შესრულებული სამუშაოების შედეგების მიხედვით სტუდენტებმა მთლიანად 6 რეფერატი, რომელთა პრეზენტაცია გაიმართა ქიმიის დეპარტამენტში 20 დეკემბერს ჩატარებულ კონფერენციაზე.

ორი თვის განმავლობაში

ში კვლევის შედეგების მიხედვით სტუდენტები ასევე გამოაქვეყნებენ სამეცნიერო სტატიებს, მიიღებენ მონაწილეობას სტუდენტურ კონფერენციებში, სურვილის შემთხვევაში მონაწილეობენ საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომებს და სხვა.

ასევე ვფიქრობთ სტუდენტებთან სხვადასხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების — ფიზიკის და ქიმიის, ბიოლოგიისა და ქიმიის გადაკვეთის სფეროში: ფიზიკური ქიმიისა და ბიოქიმიის მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესრულებას, რომელშიც ქიმიის სპეციალობის სტუდენტებთან ერთად ჩართულებიან სხვა საბუნებისმეტყველო მიმართულების სტუდენტებიც.

პროექტი „სტუდენტები და მეცნიერება“ გრძელდება...

- პროექტის ხელმძღვანელები: **ვახტანგ რუხაძე** ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ნინო ხელაძე ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი
პროექტის შემსრულებლები: **იაშვილ ქანუშაძე** აკადემიური დოქტორი
დოდო ქირია მკვლევარი

პატარა გალას ქონი

საღაც გალა დაიბადა იდგა არა ოდა სახლი, იყო მხოლოდ ქონი. ეზოში კი დადიოდა მომავალი გენიოსი - ბაუმეი გალა - ხოხით... თამაშობდა და დარბოდა იგი ერთ ცხენ-ჯოხით. ბიძაშვილს კი უძახოდა - ტიცციანი ნუ დარბიხარ დახეული ჩოხით.

დრო გამობდა...არ თამაშობს და არც დარბის გალა. გაქრა მისი ცხენ-ჯოხი. გენიოს და მარად ბრძენკაცს რას დააკლებს ქარიშხალი, მეწყერი და კონი!

სიმონ არველაძე

ალარც ბარდის, თუმც რა მგამა?! გინდ სულაც არ იბარდოს.

ისევ მართო დავეილობო, ისევ მართო მხედავენ, პურს გავეტებო და ქეიფს გავწევო, ისევ მართო მე და მე.

ნათლისღებაა, აიაზმად იქცა მდინარე, წვეთი ყოველში მიყვარულმა მადლი ღვთიური, მოვედ ნათელი! გააღვიძე სული მდინარე, იღე ნათელი ერო ჩემო, ზეთი ციური.

განბანეთ გული, მეგობრებო გველთაებრ ჭრელი, შეგება მოგვართო სიწმინდემ და სულმა ნეტარმა, მიიღეთ მადლი, სამუდამოდ სულთ გადამჩენი, სასწაულებრივ, რომ გვაძალაა ზეცის მხეღარმა.

ვეღარ ღირსმყოფმა ხამლთა მისა, ცხო მას ნათელი. და იორდანი, აღედგინა აღმა წამისად... ნათლისღებაა, მოაქციე, დემტო ქართველი სიყვარულისად უფლისა და მისა თავისად.

ახლა არაფრად მიღირს ის ვალი, შენს წინაშე რომ უნდა ამელო... შენა ხარ ჩემი ოცნების ქალი, თუმც არასოდეს გსურდა გაგგო.

ახლა ვერაფრით გეტყვი მიყვარხარ, რადგან მიყვარხარ თავდავიწყებით, და უშენობას შენთან მივყავარ, და ყოველ დღით შენთვის ვიწყებო.

მთითოს საცაა, როგორაც ხდება, ფრთებდაფიქვული ნატვრაც ვერ იფრენს, ჰო, სურვილებიც აღარ ნადღდება, ჰო, აღარ ერთვის ხშირად ფერი ფერს.

და ამიტომაც ისევ ვარ მთორალი, და არც ვაპირებ ვალი ავილო, შენა ხარ ჩემი ოცნების ქალი, მაგრამ შენ ისევ არ გსურს გაიგო.

სახალწლო

ისევ მართო ვეგებები ახალი წლის დამეს. პურს გავეტებს და ისევ მართო ჭიქა ღვინოს დაკლევ.

ვინ, არ ვიცი, რა ახარებს, ვინ, არ ვიცი, წუხს რაზე. მე კი სევდას დავპატივებ, ჩემს მარტოსულ სუფრანზე.

არც არავინ გამიხსენებს, ანდა რისთვის, ანდა რად? მარტო ვარ და ძველი ოდაც გვერდზე გადაბანდალდა.

ვზივარ ისევ მოწყენილი, საწუხარსაც ვწუხ მარტო,

ბაია კოლუაშვილი

ასოცირებული პროფესორი

მრავალმხრივ გამოორჩეული ალამიანი



დემურ მონიაგასთან ჩემი მეგობრობის ისტორია სტუდენტობის პერიოდის დასრულების შემდეგ დაიწყო. ის იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტი, ხოლო მე, სტუდენტი. ჩვენ ერთად ვმუშაობდით, ვსწავლობდით, ვსწავლიდით ერთმანეთს. ერთად ვსწავლობდით, ვსწავლიდით ერთმანეთს. ერთად ვსწავლობდით, ვსწავლიდით ერთმანეთს.

ახლანდელი გადასახედებთან რომ ვხვდავ, უფროსად ვამბობ: დემურ მონიაგას მაღალი ინტელექტი მცნიერულ მოღვაწეობას რომ მოხმარებდა, მცნიერებაში შორს წაივლიდა და თავის მოკრძალებულ სიტყვას იტყოდა. მაგრამ მოუწია პარტიულ-პოლიტიკური მიმართულებით მუშაობა, სადაც თავისი დადებითი ადამიანური კვალი დატოვა. მას სოლიდური თანამდებობა ეკავა პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტში, რამეთუ მუშაობდა იდეოლოგიური განყოფილების გამგედ. აქ არსებითი ის იყო, რომ თანამდებობა კი არ ამალდებდა და ალამაზებდა მის პიროვნებას, პირიქით, მინდობილი საქმის ცოდნით, უბრალოებით, ღრმა ადამიანური კეთილშობილებით თვითონ ამკობდა და ავტორიტეტს მატებდა ამ თანამდებობას. ამ მიმართებით ბატონ დემურს ერთადერთი უჯრედიც არ გააჩნდა პოზიორ-ბიუროკრატის. ყველა თანამდებობის პირი, რომ მასავით ყოფილიყო, მაშინ ცხადია, საკრიტიკოც არაფერი ექნებოდა იმჟამინდელ პოლიტიკურ წიგნებს. იგი იტყოდა ყველა საქმე კარგია, თუ მასში კომპეტენტური ხარ, გწამს, გიყვარს და უანგაროდ ასრულებს. სხვებისაგან პოზიტიურად გამოირჩეული იყო მაშინდელ პარტიის საქალაქო კომიტეტში. ეს გამორჩეულობა, პირველყოფილისა, გამოიხატებოდა მასზე მინდობილი საქმის ცოდნასა და სიყვარულში, ობიექტურობაში, ჰუმანურობაში, ხალხისადმი ზრუნვასა და ყურადღებაში. ეს დადებითი პარამეტრები წითელ ზოლად გასდევს მისი ლამაზი ცხოვრების ისტორიას. ამიტომ იყო რომ დემურ მონიაგა გულწრფელად უყვარდა სამსახურებრივი აპარატის თანამშრომ-

ლებს და ქუთაისის საზოგადოებას, ჯეროვნად აფასებდნენ და პატივს ცემდნენ. ასეთი კომპეტენტურობით, ობიექტურობით, ჰუმანურობით და სხვა ლამაზი ადამიანური წახნაგებით მან წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენს საზოგადოებაში. როგორც ჰუმანიტარული ადამიანის ექვემდებარება ე.წ. გაორებული, ბიუროკრატი, მედროვე, ენატარტარა პიროვნებები და იტყოდა ხოლმე მათი საბოლოო ხვედრი ისტორიის სანაგვე ურნებიანო. მისი ცხოვრების პარამეტრებიდან მანათობელ ვარსკვლავად გამოიყურება სიმართლისთვის მებრძოლი სული, გაჭირვების ამტანობა, ორგანიზატორული საქმიანობის ნიჭი და უნარი, სამშობლოსა და ხალხის უსახლდვრო სიყვარული.

მასთან მეგობრობის ისტორიიდან გვერდს ვერ აუკვლი ერთ საგულისხმო ფაქტს: საკუთარი ბიბლიოთეკიდან მეგობრულად მისახსოვარ გეოგრაფიული ხასიათის წიგნები (მსოფლიოს ქვეყნები და ხალხები, 7 ტომად), რომელიც შექმნილი ჰქონდა სამსახურიდან სპეციალური ხელმოწერის საფუძველზე (მე ვერ მოვახერხე მათი გამოწერა). ნაჩუქარ წიგნებს თან ერთვის თაბახის ორ გვერდზე დაწერილი მისი პირადი წერილი (ვინახავ და ვუფრთხილდები თვალისწინებით, როგორც საუკეთესო რელიქვიას). აღნიშნულ წერილს სიტყვა-სიტყვით (უცვლელად) ვთავაზობ მკითხველს.

ჩემო ძვირფასო ოთარ!

გუშინ, 31 ოქტომბერს ასრულდა ჩემი კარგა ხნის ოცნება. სიტყვიერი დაპირება ფაქტობრივად შევასრულე. თითქოს რაღაც მომეშვა გულზე. კმაყოფილი და ბედნიერი ვიყავი, როდესაც წიგნები, შენთვის ესეოდენ საჭირო ლიტერატურა ჩემმა მეუღლემ ჩემს ძვირფას მეგობართა თანდასწრებით გადმოგცა სამუდამოდ, ამიერიდან ისინი დაამშვენებენ თქვენს ბიბლიოთეკას.

საერთოდ ადამიანისთვის თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე (თუნდაც 100 წელიწადი სიცოცხლოს), ძალიან მცირეა წუთები, როდესაც თავს ბედნიერად თვლის. მაგრამ ადამიანი მიეღოს სიცოცხლეს წიარავს, ბევრი ტანჯვა-წვალება გადააქვს, უძლებს ყველაფერს და ყველაფერს ოღონდ რამდენიმე წუთი მაინც იყოს ბედნიერი. დაიხ! ასეთია, სამწუხაროდ ცხოვრების კანონი, მას ვერსად გავპოვებთ.

აი, ასეთი ერთი ბედნიერი წუთი იყო გუშინდელი დღე ჩემთვის. წელიწადზე მეტია ავადმყოფი, ექიმებსა და წამლებს შორის მყოფი და მოულოდნელად (წინასწარ არ იყო გათვალისწინებული) ასეთი კარგი, სასიამოვნო დღის გათენება. დემურმა გვიმარჯვლოს ასეთი წუთები, საათები, დღეები და წელიწადებიც კი დარჩენილ წუთისოფელში.

ჩემო ოთარ!

აგერ უკვე 34 წელიწადია, სტუდენტობის პირველი დღეებიდანვე ჩვენ ურთიერთობა გვაქვს ერთმანეთთან და ამ ხნის მანძილზე ერთი ხინჯი არ გვახსოვს, ოდნავი ჩრდილი არ მიყენებია ჩვენს რაინდულ სიყვარულს ერთმანეთისადმი. რო-

ცა ღრმად ჩავფიქრებულვარ რა ასაზრდოებს, რა ძირი და საფუძველი აქვს ჩვენს კაცურ დამოკიდებულებას ერთ აზრამდე მივსულვარ: სულიერად.

ჩვენ გაჭირვებული სტუდენტობა გვარგუნა ბედმა, გვაკლდა თითქმის ყველაფერი, რაც თანამდებოვანი ახალგაზრდობას გააჩნია დღეს. არ გვეცვია, არ გვეხურა, გვძიოდა, გვეწყუროდა, გვეცოცხლა, მაგრამ გვწამდა, გვწამდა და როგორც შეგვეძლო ვიბრძოდით.

ჩვენი ჭაბუკობის წლები დაემთხვა ქვეყნის ცხოვრების ქარტეხილებს. გავეუძელით, ვსწავლობდით და გავუძელით. ჩვენი ცხოვრების მოწინააღმდეგეები წლები, 40-50-იანო წლები კიდეც ჩვენი მრწამსის უძიებელი გამოცდის პერიოდი იყო. არ ჩავჭრილვართ. გვიჭირდა თუ გვიდხინდა ვმუშაობდით ერთგულად, თავდადებით და გავუძელით.

დღეს ბევრი ამოეფარა სიტყვებს - „გარდაქმნას“ და „დანიქარებას“. ჩვენ გვწამს ისტორია ყველას თავის ადგილს მიუჩენს ჩვენი საზოგადოების განვითარების ამ უკიდურეს სივრცეში. ხოლო ფეხს და მოდას აყოლილთა ბედი - მაინც სანაგვე ყუთია.

ერთი სიტყვით, მე იმისი თქმა მინდა, რომ ჩვენ დაახლოებით თითქმის ან თითქმის ერთნაირი შეხედულებანი გავაჩნია ამა თუ იმ პრობლემის, მოვლენის მიმართ. მე რასაც ვიჭიროებ ამა თუ იმ საკითხის

გარშემო, იგივე მსმენია შენგანაც და პირიქით, რაც თქვენს გაგისაზრებიათ, მიუღი არსებითად გადმოგიციათ სხვადასხვა საჭირობოლო საკითხების ორგანიზაცია, ასე მგონია, ჩემს სათქმელსაც ყვები მეთქი.

ის რაც შენ გოყვარს, მეც მომწონს და მიყვარს, რაც შენ გძულს, მეც მეჯავრება. რაც შენ გწყვინს, ჩემი წუხილიცაა, რასაც განიცდი, როდესაც უკუღმართობას ხედავ, იმასვე განვიცდი მეც. ორივეს აღშფოთებით დაგვიკვამია დასაგმობი, ჭირის დღესავით გვძულს კარიერისტები და მლიქვნელები, ენატარები და ჭორიკანები, ანონიმები და ცრუ დამსმენები, ყველა ჯურის უსინდისობიერი, სამწუხაროდ ასე მომრავლებულია რომ არიან და ღირსებაშემლახუნლი ყველაფერს კადრულობენ თავიანთი მზაკვრული მიზნების შესასრულებლად.

ამიტომ აღვნიშნე მე, რომ წლების მანძილზე ჩვენს ურთიერთობას სწორედ ეს სულიერად აღუღებდა. აქედან მოდის ჩვენი მეგობრობა, ნაღდი, კაცური, ცხოვრების ამდენ გამოცდას რომ გავძლო.

მე, ჩვენს საერთო ძმა და მეგობართან - გურამ გრიგოლის ძესთან ერთად მივევარხართ და მოკრძალებით პატივს ვცემ თქვენს პრინციპულობას, გულახდილობას, თავმდაბლობას, გამტანობას, ქედმოუხრებლობას, საერთო მაღალ განათლებასა და დიდ ინტელექტუალურ

კულტურას. დემურმა კარგად გამოყოფოს, თქვენი თავი დიდხანს უცოცხლოს შენს ოჯახს, მეგობრებს, შენს საყვარელ საქართველოს.

რა ვიცი, ორჯერ ინფარქტგადატანილი კაცს ყოველ წუთს შენსა ჩასაფრებული სიკვდილი. და რადგანაც ძვირფასი წუთები გუშინ მანუქე, დღეს ალტაცებით გამოვხატე და ვოქეცი ეს სათქმელი რასაც გულით ვატარებ წლების მანძილზე. გისურვებ დღევანდელობას, ყველა კეთილი სურვილების ავსრულებას. ამინ! დიდის პატივისცემით დემურ მონიაგა

I/XI-87 წელი.

ამ წერილის მოტანა იმიტომაც იყო აუცილებელი, რომ იგი ნათლად წარმოაჩინოს დემურ მონიაგას მაღალი ინტელექტუალური დონის, განათლების და კულტურის, მისი ჰუმანიტარულად ადამიანურ სახეს. ბატონ დემურს ამქვეყნიურ ფეხსეული ცხოვრება ჰქონდა, მაგრამ მან დატოვა პირველყოფილისა სამი სასიკეთო შვილი, სამეგობრო და საერთოდ, მოსიყვარულე ადამიანთა წრე, რომლებიც მის სახელს და ღირსეულ კვალს არასოდეს არ დაივიწყებენ. დაე, მარად კეთილი მოგონება და უკვადავბა ქონოვდეს დემურ მონიაგას მზე-კაცად ყოფნას ამ ცოდვილიან დედამიწაზე!

ოთარ ჩხეიძე

პახთან მენაბლიძე



გარდაიცვალა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბიზნესის სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ფილოსოფია-ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, ვახტანგ ლავრენტის ძე მენაბლიძე.

ვახტანგ მენაბლიძე დაიბადა ვანის რაიონის სოფელ ფერეთში, 1954 წლის 8 აპრილს; 1971 წელს წარჩინებით დაამთავრა ვანის საშუალო სკოლა, ხოლო 1976-1981 წლებში სწავლობდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე, რომლის წარჩინებით დაამთავრებინა შემდეგ, 1982 წელს, დაიწყო მუშაობა ქუთაისის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში, უფროს მეცნიერ თანამშრომლად, მეცნიერული კომუნიზმის კათედრაზე, სადაც 1989 წლამდე, მუშაობდა ასისტენტის

თანამდებობაზე. აქვე აღსანიშნავია, რომ ცხრა აპრილთან დაკავშირებული ცნობილი მოვლენების გამო, მან პროტესტის ნიშნად დატოვა აღნიშნული კათედრა, რომელმაც ძალზე შეწყვიტა ფუნქციონირება აღნიშნული სახელწოდებით.

1990 წლის სექტემბერში, ვახტანგ მენაბლიძემ წარმატებით დაიცვა დისერტაცია ფილოსოფიური ანთროპოლოგიისა და შემეცნების ფენოლოგიის მიმართულებით, რამაც სადისერტაციო საბჭოს განსაკუთრებული მოწონება და აღიარება დანიშნა. დისერტაციის დაცვიდან ერთი წლის თავზე, 1991 წელს, მუშაობა განაგრძო ქუთაისის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში, უფროსი მასწავლებლის თანამდებობაზე, 1994 წლიდან კი, არჩეულ იქნა ფილოსოფიისა და პოლიტოლოგიის კათედრის დოცენტის თანამდებობაზე, სადაც მუშაობდა 2006 წლამდე, ვიდრე განხორციელდა რეორგანიზაცია ქუთაისის ორი უნივერსიტეტის გაერთიანების მიზნით. 2006 წლიდან, უკვე ბატონი ვახტანგი გვევლინება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ფილოსოფია-ფსიქოლოგიის დეპარტამენტის დოცენტად. იქვე, აღნიშნული წლის შემოდგომიდან, 2014 წლამდე, განაგრძობდა მუშაობას მოწვეული საპეციალისტის სტატუსით, ხოლო 2014 წლის სექტემბრიდან, კონკურსის წესით, დაინიშნა იმავე დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე, სადაც მუშაობდა სიცოცხლის ბოლომდე.

ბატონ ვახტანგს გამოქვეყნებული აქვს მეტი და საყურადღებო და აქტუალური შრომები, რომელთაგან მეტი სამეცნიერო პუბლიკაციისა და ხუთი წიგნის სახით, რომელთაგან ორი არის სახელმძღვანელო, ხოლო სამი მონოგრაფია. მისი სახელმძღვანელოებიდან აღსანიშნავია: „ანთროპოლოგიის საფუძველები“ და „თვითშეცნება, როგორც ფენომენალური შემეცნება“, მონოგრაფიებიდან - „ანთროპოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიური საწყისები“, „ანთროპოლოგიური და თეოსოფიური მორალი“ რ. შტაინერთან და „კათოლიკობა საქართველოში“. ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობისა და აქტიური შემოქმედებითი კვლევა-ძიების გამო, ვახტანგ მენაბლიძე 2009 წლის ივნისში აირჩიეს კავკასიის ხალხთა მეცნიერული აკადემიის წევრად.

უნივერსიტეტის რექტორატი, ფაკულტეტის დეკანი და ფილოსოფია-ფსიქოლოგიის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებას გამოხატა ვახტანგის უღროდ გარდაცვალების გამო.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი
ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ფილოსოფია-ფსიქოლოგიის დეპარტამენტი

მიხეილ ხობიჯაძე - 60 წარბაზით გავლილი ზვა



ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მრავალი გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებული მეცნიერ-პედაგოგი მოღვაწეობს მათ შორისაა პროფ. მიხეილ კოტიშაძე, რომელსაც ახლახან საიუბილეო თარიღი - 60 წელი შეუსრულდა. თვალში რომ გადავავლოთ მის მიერ გავლილ ცხოვრებისეულ გზას, ნათლად დაეინახეთ, რომ ეს წლები მას ნაყოფიერად გაუტარებია, რადგან მისი მეცნიერული და პედაგოგიური საქმიანობის შედეგი მართლაც ანგარიშგასაწევეა. მან წარმატებით დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საგანაკეთაბოს მანქანებისა და მოწყობლობების ფაკულტეტი. მომავალში ინჟინერ-მექანიკოსმა სწავლა განაგრძო მოსკოვის ჩარხინსტრუმენტების ინსტიტუტის ასპირანტურაში, სადაც ღირსეულად მოიპოვა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. იგი ნაყოფიერად სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა. მისმა წიგნმა „ხელნაწერი ინტელექტის სისტემების დაგე-

მარების საფუძვლები (სალექციო კურსი), ქუთაისი. 2007 წ. და სხვა ნაშრომებმა სპეციალისტთა და ამ საკითხით დაინტერესებულ პირთა მოწონება დაიმსახურა. მთავარი, რაც მისი საიუბილეო თარიღის გადასახედოდან მართლაც რომ მნიშვნელოვანი და დასაფასებელია, არის ის, რომ მიხეილ კოტიშაძე „ახალგაზრდა გამომგონებელთა კლუბის“ დამფუძნებელი და მისი ხელმძღვანელია. მართლაც, ჩვენს ქვეყანას პატივით სჭირდება ახალი თობის მოაზროვნე გამოგონებლები, რომლებიც ქართულ ინტელექტს მსოფლიო მასშტაბით წარმოაჩენენ. ამ კლუბს რამდენიმე წლიანი ისტორია აქვს. აღსანიშნავია, რომ ამ დროის განმავლობაში კლუბის წევრებმა სამი გამოგონება დააპატენტეს. კლუბს საერთაშორისო ოლიმპიადებზე მოპოვებული აქვს 5 ოქროს მედალი. ასევე, ვერცხლის ოთხი და ოთხი ბრინჯაოს მედალი. ამ ჩამონათვლის უკან იგულისხმება მეცნიერის და მოსწავლე-ახალგაზრდების ერთობლივი დაუღალავი შრომა, ახლის მიგნებისაკენ შეუპოვარი მიზანსწრაფვა. სწორედ, ამ თვისებებს უნერგავს ნორმ გამომგონებლებს პროფ. მიხეილ კოტიშაძე. ამის შედეგად, ის რომ კლუბის წევრებმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს საქართველოს ახალგაზრდა გამომგონებელთა „ლენინდრო და ვინჩის“ კონკურსზე და მთავარი პრიზით გაემსარჯნენ ლოს-ანჯელესში მსოფლიო ფორუმზე. მათ შემდგომად გააგინეს კვერცხზე ბზარების აღმოჩენილი აპარატი და ე.წ. „ჭკვიანი მწიწკარე პოლიციელი“ ორიგინალური მოდელო, რომლებმაც დიდი მოწონება დაიმსახურეს. სულ ახლახან კი მიხეილ კოტიშაძის შევირდებმა ახალი

გამომგონებით გაგვახარეს. ჩვენი საზოგადოების ყურადღება მიიყვრო ხონელი მოსწავლეების მიერ გამოგონებულმა ჯაფშანვილელმა, რომელიც საიმედოდ იცავს ადამიანის სხეულს. ეს ჯაფშანვილელი მაქსიმალურად ამცირებს შეღუნვის ისარს, რაც გამორიცხავს ადამიანებში სერიოზული ტრავმის მიღების შანსს. ბუნებრივია, რომ მ. კოტიშაძის შევირდების ამ უნიკალური გამოგონებით დაინტერესდა საწარმო „დელტა“. მისასაღებელია, რომ მიხეილ კოტიშაძე კვლავ გულმოდგინებით აგრძელებს ჩვენი ქვეყნის მომავლისათვის საშურ საქმიანობას, მისი ახალი იდეები და მიზნები ხელისუფლების ინტელექტის შექმნისათვის ახალ და ახალ წარმატებებს გვპირდება თავის მოსწავლეებთან და სტუდენტებთან ერთად. ამ ვითარების საფუძველს ისიც განამტკიცებს, რომ აშშ საელჩოს დაფინანსებით მიმდინარე კონკურსზე „ათასწლეულის ინოვაციები“, გამომგონებელთა კლუბი საუკეთესო ათეულში მოხვდა, რაც, დამერწმუნებით, დიდი წარმატებაა.

პროფ. მიხეილ კოტიშაძე საინტერესო პიროვნებაა — კარგი მეგობარი, ინტელექტუალი და მოსაუბრე. იგი საზოგადოებრივ ახარეზებზე მოღვაწეობს. მასთან ერთად, ერთ ხანს მუშაობა მომიწია ქუთაისის მერიში, სადაც მან თავი გამოიჩინა როგორც პასუხისმგებელმა და სახელმწიფოებრივად მთავროვნე მუშაკმა. მეგობრებთან ერთად ვულოცავ მიხეილს საიუბილეო თარიღს და ვუსურვებ ახალ წარმატებებს სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობაში.

ომარ გვეტაძე პროფესორი



მიმდინარე წლის 11-დან 13 ნოემბრის ჩათვლით ქ. ბათუმში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი შოტოკან-კარატე-დო-ში 18-დან 34 წლამდე ასაკის სპორტსმენებს შორის. მონაწილეობას ღებულთა 15 ქვეყნის 1000-მდე სპორტსმენი. მათ შორის იყო წერეთლის უნივერსიტეტის სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის (დევან-ი ალექო ბაკურაძე) ეკონომიკის სპეციალობის პირველი კურსის სტუდენტი — თამაზ გოჩელაშვილი. ის 75 კგ. წონით კატეგორიაში ასპარეზობდა, სადაც

მონაწილეობას ღებულთა 12 ქვეყნის უძლიერესი სპორტსმენები. შეჯიბრება ჩატარდა ოლიმპიური სისტემით (ერთი წაგებით რაუნდი განისაზღვრებოდა 3 წუთით). ჩვენმა სახელოვანმა სპორტსმენმა სულ 4 შეხვედრა ჩატარა: პირველი — აზერბაიჯანის გუნდის წარმომადგენელთან დამაჯერებლად მოიგო ანგარიშით 3:0, მეორე შეხვედრა რუმინეთის გუნდის წარმომადგენელთან ჩატარა და პუნტუთ გაიმარჯვა, რაც იმას ნიშნავს, რომ ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ და მსაჯუბის ერთობლივი გადაწყვეტილების საფუძველზე მიანიჭეს მოგება. მესამე შეხვედრა ნახევარფინალში კი — სომხეთის გუნდის წარმომადგენელთან ჩატარა, რომელიც უკიდურესად დაძაბულად მიმდინარეობდა და საბოლოოდ გაიმარჯვა ანგარიშით 1:0. გავიდა ფინალში, სადაც მისი მეტოქე იყო ისრაელის მრავალჯანს ჩემპიონი გამოცდილი სპორტსმენი, რომელსაც ახალგაზრდობის მიუხედავად, ჩვენმა სახელოვანმა მამულვიმდამ ტოლი არ დაუღო და ანგარიშით 3:2 დაამარცხა. ამგვარად, თამაზ გოჩელაშვილმა ღირსეულად მოიპოვა ევროპის ჩემპიონის ტიტული.

უნივერსიტეტის რექტორატი, დეკანატი, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრი თამაზ გოჩელაშვილს ულოცავს ჩემპიონობას, უსურვებს წინსვლასა და წარმატებებს მომავალ ოლიმპიურ სალიცენზიო შეხვედრებში, რომელიც 2017 წლის იანვარში ტარდება საფრანგეთში ოუფენ-პარიზის ღია ჩემპიონატის სახით.

ღმურ ფიცხაღა

საერთაშორისო ხონფარენცია გერმანიაში



13-15 ოქტომბერს, იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: **"Sprachliche Strukturen im deutsch-georgischen Kontrast"** („ქართული და გერმანული ენობრივი სტრუქტურები შეპირისპირებით პლანში“). კონფერენცია მომზადდა და ჩატარდა ჩვენსა და იენის შორის არსებულ საუნივერსიტეტო პარტნიორობის ფარგლებში (GIP-DAAD), კერძოდ, აწლუ გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტსა და იენის უნივერსიტეტის გერმანული ენათმეცნიერების ინსტიტუტს შორის არსებულ ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე. პროექტის ხელმძღვანელები არიან პროფ. პეტერ გალმანი (იენა) და პროფ. ნანული კაკაურიძე (ქუთაისი). კონფერენციის მხარდამჭერი იყო როგორც გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური (DAAD), ასევე სხვადასხვა გერმანული ფონდი და ორგანიზაცია. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ორმხრივი შეთანხმებისა და ვალდებულებების საფუძველზე, ქუთაისის აწლუ ადმინისტრაციამ მთლიანად დაფინანსა ჩვენი კოლეგების სამგზავრო ხარჯები, ხოლო პროფ. ელისო ქორიძე და დოქტორანტი სალომე შავგულიძე ამავე დროს იენაში იმყოფებოდნენ ერაზმუს პლუის პროექტის ფარგლებში.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ იენის უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები და დოქტორანტი, გერმანიისა და იენის უნივერსიტეტების წარმომადგენლები ქართულ მხარეს წარმომადგენელნი ჩვენი უნივერსიტეტის გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტის ენათმეცნიერული მიმართულების წევრები (პროფ. ე.ქორიძე, პროფ. ო.ფიციანი, ასოც. პროფ. მ.ბაქრაძე, ასოც. პროფ. რ.სვანიძე, ასოც. პროფ. ნ.მარაშენიძე, ასოც. პროფ. თ.ნიჭარაძე, ასისტ. პროფ. მ.გობანი, დოქტ. ნ.კვიციანიძე, ს.შავგულიძე.) და ენათა ცენტრის მასწავლებლები (მ.კუჭუნიძე, თ.მებურიშვილი) ასევე, თელავის აკობ გოგებაშვილის, თბილისის ივანე ჯავახიშვილისა და ილაას სახელმწიფო უნივერსიტეტების პროფესორები.

კონფერენციას მიესალმნენ პროფ. პეტერ გალმანი, კოორდინატორი პროფ. მერაბ გვეტაძე და DAAD-ის წარმომადგენელი ჩვენს უნივერსიტეტში დიანა მლუხტიანი.

კონფერენცია ჩატარდა უაღრესად საინტერესო და საქმიან ვითარებაში, მუშაობდა რამდენიმე სექცია, წარმოდგენილი იქნა გერმანული და ქართული ენობრივი სტრუქტურების შეპირისპირებით კვლევები და მათი შედეგები ფონეტიკა-ფონოლოგიის, მორფოლოგიის, სინტაქსის, ტექსტის, სიტყვაწარმოების, ასევე ლინგვოკულტუროლოგიის და გერმანული როგორც უცხო ენის სწავლების მიმართულებით.

მეტად მნიშვნელოვანი იყო როგორც ცალკეული, დამოუკიდებ-

ლი, ასევე ერთობლივი კვლევების შედეგების პრეზენტაციები: ჩვენი საუნივერსიტეტო პარტნიორობა ითვალისწინებს როგორც სტუდენტთა და ლექტორ-მასწავლებელთა გაცვლას, კურიკულუმზე მუშაობას, გერმანული პროფესორის ბლოკ-სემინარებს, ტუტორთა ვორკოპებს და საერთო სასწავლო და კვლევით აქტივობებს. ამ მიმართულებით ძალე დასრულდება იენის პროფესორადრან სიმპონიუსი და ასოც.პროფ. რამაზ სვანიძის ერთობლივი კვლევა, რომელიც ეხება გერმანულსა და ქართულს კონტრასტულ ფონეტიკურ-ფონოლოგიურ ანალიზს. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით პარალელურად მიმდინარეობს გერმანული ენის ქართულ შემსწავლელთათვის ფონეტიკის სახელმძღვანელოზე მუშაობა.

კონფერენციაზე ასევე წარმოდგენილი იქნა ერთობლივი კვლევის შედეგების პრეზენტაცია თემაზე: გერმანული და ქართული საკუთარი სახელები და მათი კონტრასტული ანალიზი. კვლევა განახორციელეს პროფ. ბარბარა ელიზბა (იენა), დიანა მლუხტიანი (DAAD), ასოც. პროფ. მანანა ბაკრაძე და ასისტ. პროფ. მირანდა გობანიძე (ქუთაისი).

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია პროფ. ე.ქორიძის მოხსენებაში წარმოდგენილი მოსაზრებებმა გერმანულ-ქართულ ფორმატურულ სიტყვათა ლექსიკონის მნიშვნელობისა და მისი შექმნის აქტუალობის შესახებ.

აღინიშნა, რომ ფორმატურული სიტყვების კვლევა წარმოადგენს თანამედროვე ლინგვისტიკის ერთერთ საინტერესო საკითხს. მიუხედავად მათი არასრულმნიშვნელობისა და ენობრივ კომუნიკაციაში ერთი შეხედვით თითქოს უმნიშვნე-

ლი ფუნქციებისა, ისინი სრულყოფილ ხდიან ტექსტის სინტაქსურ და სემანტიკურ სტრუქტურას. განსაკუთრებულ სირთულეს უქმნიან აღნიშნული მეტყველების ნაწილები (ზმნიშედა, კავშირი, წინდებულობა/თანდებულება, ნაწილაკი და ა.შ.) გერმანული ენის ქართველ შემსწავლელს მათი პოლისემურიდან გამომდინარე. გერმანულ ენაზე მათი არასწორი გამოყენება მეტყველებას გაუმართავს და ზმირად გრამატიკულად არაკორექტულს ხდის. ჩვენს ხელთ არსებული გერმანულ-ქართული და ქართულ-გერმანული ლექსიკონები (თუნდაც უახლესი ონლაინ ლექსიკონები) ვერ წვეტენ ამ პრობლემას ფორმატურულ სიტყვათა რთული სტატუსიდან გამომდინარე.

გარდა ამისა, უკვე შექმნილი და ხელმისაწვდომია გერმანულ-ინგლისური, გერმანულ-ფრანგული, გერმანულ-ესპანური, გერმანულ-რუსული ფორმატურული სიტყვათა ლექსიკონები.

პროფ. პეტერ გალმანის აზრით, წარმოდგენილი მოსაზრება შეიძლება განისაზღვროს, როგორც იენისა და ქუთაისის პარტნიორობის ერთობლივი კვლევის პრიორიტეტი. მან გამოთქვა დიდი სურვილი და შთაბეჭდილება იმისათვის, რომ კონსულტაცია გაუწიოს აღნიშნულ პროექტს.

კონფერენცია მიმდინარეობდა

მეგობრულ, თბილ, კოლეგიალურ გარემოში, რამაც თავისი წვლილი შეიტანა კარგად ორგანიზებულმა კულტურულმა ღონისძიებებმა. ჩვენი კოლეგების მიერ კონფერენციაზე წარმოდგენილი თემაზე შეფასდა როგორც საინტერესო, აქტუალური და თანამედროვე ევროპული საგანმანათლებლო სივრცისათვის სასამაგისო. აღინიშნა, რომ მიმდინარე პარტნიორობა მნიშვნელოვანია როგორც ქუთაისის, ასევე იენის მხარის წარმატებული საქმიანობისთვის.

კონფერენციის ბოლო დღეს გაიმართა სხდომა, რომელიც მიეძღვნა ჩვენი საუნივერსიტეტო პარტნიორობის მიმდინარეობის განხილვას, ანალიზს და შეფასებას. პარალელურად დაიგეგმა სასწავლო და კვლევითი მიმართულებით საუნივერსიტეტო პარტნიორობის სამომავლო პერსპექტივები და პრიორიტეტები: სტუდენტთა და ლექტორ-მასწავლებელთა გაცვლა, ერთობლივი სასწავლო და სამეცნიერო აქტივობები, ხოლო 2018 წლის შემდგომი ქუთაისში პარტნიორობის ჩარჩოებში DAAD-ის ყველით საერთაშორისო კონფერენციის ჩატარება.

ელისო ქორიძე გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტი